ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 22 დეკემბერი, 2021 №242 (8771) ფასი: 60 თეთრი

გვ.5

165.000 ლარის მითვისებისთვის პროკურატურამ ლ.პ. დააკავა

გარდაბანში 27 წლის ფოლადა ზაკეტოვი ჩაცხრილეს

გვ.5

ნიკა მელია: „ვიწყებთ მასობრივ შიმშილობას სააკაშვილის გათავისუფლებამდე“

გვ.2

„ჩვენ შერიგება რისთვის გვინდა, მხოლოდ მიშა და ბიძინა იყვნენ კარგად?!“

გვ.3

გია ხუხაშვილი: „სალომე ზურაბიშვილმა იცის, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვა“

„რიგგარეშე არჩევნებში ოპოზიცია კვლავ დამარცხდება“

გვ.3

რამაზ საყვარელიძე: „რაც უფრო ხმაურიანი და დესტაბილიზაციისკენ იქნება ოპოზიციის პოლიტიკა მიმართული, უფრო დაკარგავენ ამომრჩეველს“

გვ.4

„პარლამენტის 60 ოპოზიციონერი დეპუტატი არაფერს ითხოვს და არაფერს აკეთებს!“

გიგა ბუკია: „თანხმობა ვერ შედგება, ვინაიდან მმართველი პარტია და მთავარი ოპოზიცია ამის სურვილს არ ამჟღავნებენ“

„პასუხისმგებლობას არავინ უნდა გაექცეს“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „გერმანელები კალანდაძის საქართველოში ექსტრადიციას წინააღმდეგობას არ გაუწევენ“

გვ.4

სააკაშვილი: „გიულის თვალწინ ბადრაგმა ჩემი ფანჯრის რაფიდან ჩამოსმა სცადა“



გვ.2

ISSN 1987-9385

2 ხატია დეკანოიძე: „სააკაშვილი არ იმსახურებს ციხეში ყოფნას“

5 ყალბი ერთლარიანების დამზადების ფაქტზე 1 ადამიანი დააკავეს

5 დაკარგული რამაზ გერლიანის წერილი და მობილური იპოვეს

6 პოროშენკოს წინააღმდეგ სახელმწიფო ღალატის ბრალდებით გამოძიება დაიწყო

ნიკა მელია: „ვიწყებთ მასობრივ შიმშილობას სააკაშვილის გათავისუფლებამდე“

ნაციონალური მოძრაობა მასობრივი შიმშილობის აქციას იწყებს.

გადაწყვეტილება გუშინ, 21 დეკემბერს, პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაზე შეკრებილებს ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ, ნიკა მელიამ გააცნო.

მისი განცხადებით, შიმშილობის აქცია იქამდე არ შეწყდება, ვიდრე მიხეილ სააკაშვილი არ გათავისუფლდება.

როგორც მელიამ აღნიშნა, შიმშილობას ნაციონალური მოძრაობის ცენტრალურ ოფისთან დაიწყებენ, სადაც ამ წუთებში შესაბამისი ინფრასტრუქტურა ეწყობა.

პარტიის თავმჯდომარემ აღნიშნა ისიც, რომ შიმშილობის მასობრივ აქციაში ჩართვისკენ ვერავის მოუწოდებს, თუმცა „რაც უფრო ბევრნი იქნებიან, მიხეილ სააკაშვილს მით მალე გაათავისუფლებენ“.

– მიხეილ სააკაშვილის ტყვეობიდან გათავისუფლებისთვის ვიწყებთ ახალ საეტაპო ბრძოლას და დღეიდან ჩვენ ვაცხადებთ მასობრივ საპროტესტო შიმშილობის აქციას. ეს მძიმე გადაწყვეტილებაა, მაგრამ ეს კონსტიტუციური უფლება და არაძალადობრივი მეთოდია, – განაცხადა მელიამ.

ხატია დეკანოიძე: „სააკაშვილი არ იმსახურებს ციხეში ყოფნას“

– მიხეილ სააკაშვილის თავგანწირვა ემსახურება იმას, რომ ეს ქვეყანა ერთხელ და სამუდამოდ დაადგეს დემოკრატიის და განვითარების შეუქცევად გზას. მიხეილ სააკაშვილი არ იმსახურებს ციხეში ყოფნას.

ამის შესახებ გუშინ, 21 დეკემბერს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, ხატია დეკანოიძემ რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პოლიტიკური თანხმობა, არამედ ადამიანებს შორის თანხმობაც.

– დღეს საქართველოში არის უმძიმესი ვითარება. ყველა ჩვენგანმა იცის, რომ ეს უმძიმესი ვითარება გამოწვეულია სწორედ იმით, რომ ქვეყანა მიტაცებული აქვს ერთ ადამიანს, რომელმაც გადაწყვიტა, პრაქტიკულად, ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი იყოს მის უშუალო დაქვემდებარებაში. მიხეილ სააკაშვილის თავგანწირვა ემსახურება იმას, რომ ეს ქვეყანა ერთხელ და სამუდამოდ დაადგეს დემოკრატიის და განვითარების შეუქცევად გზას. მიხეილ სააკაშვილი არ იმსახურებს ციხეში ყოფნას. ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამყარდეს პოლიტიკური და ადამიანებს შორის ის თანხმობა, რომელიც არის აუცილებელი, – განაცხადა ხატია დეკანოიძემ.

ჯემალ ჭკუასელის სამოქალაქო პანაშვიდზე ბიძინა ივანიშვილი მივიდა

საქართველოს სახალხო არტისტის, ჯემალ ჭკუასელის, სამოქალაქო პანაშვიდზე „ქართული ოცნების“ ყოფილი თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი მივიდა.

სამების საკათედრო ტაძარში ბიძინა ივანიშვილმა ოჯახს სამძიმარი გამოუცხადა. მას გუშინ, 21 დეკემბერს, მედიასთან კომენტარი არ გაუკეთებია.

ჯემალ ჭკუასელი სამების საკათედრო ტაძარში 20 დეკემბერს გადაასვენეს. ის გუშინ, 21 დეკემბერს, მახათას მთაზე, ახალ პანთეონში დაკრძალეს.

ცნობილი ლოტბარი, ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელი 18 დეკემბერს, 86 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ოკუპირებული აფხაზეთის პარლამენტის წინ, ვითარება უკიდურესად დაძაბულია

ოკუპირებული აფხაზეთის პარლამენტის წინ, ვითარება უკიდურესად დაძაბულია. აქ, ოპოზიციის მხარდამჭერები სამართალდამცველების კორდონის გარღვევას შეეცადნენ. ადგილზე ისმოდა სროლის ხმაც.

მოგვიანებით, ადგილზე მყოფმა ჟურნალისტებმა დააზუსტეს, რომ ეს იყო პეტარდების აფეთქების ხმა, რომელსაც მომიტინგეები ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელთა მიმართ იყენებდნენ. დე ფაქტო პარლამენტის შენობის წინ, ადგილი ავტობუსებით არის ჩახერგილი.

მიტინგამდე ერთი დღით ადრე, 20 დეკემბერს, დე ფაქტო პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ მოქალაქეებს მიმართა და მოუწოდა, არ მიიღონ მონაწილეობა არასანქცირებულ მიტინგსა და უკანონო და ანტისაკონსტიტუციო მოქმედებებში. ოპოზიციას კი ნებისმიერ საკითხზე დიალოგისკენ მოუწოდა.

„ჩვენ ვაღიარებთ, რომ არსებობს პრობლემები, გადაუჭრელი საკითხები, მაგრამ სახელმწიფოში მყიფე სტაბილურობისთვის საფრთხის შექმნის საფუძველი არ არის. ნებისმიერი კანონდარღვევა იქნება გამოვლენილი და აღკვეთილი“ – განაცხადა ბჟანიამ.

ოკუპირებული აფხაზეთის სახალხო-პატრიოტული კავშირი დე ფაქტო მთავრობას მოსახლეობის გაღატაკებასა და კორუფციაში ადანაშაულებს.

სააკაშვილი: „გიულის თვალწინ ბადრაგმა ჩემი ფანჯრის რაფიდან ჩამოსმა სცადა“

საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დედის, გიული ალასანიას განცხადებით, როდესაც ის მიხეილ სააკაშვილის მოსანახულებლად გორის ჰოსპიტალში იმყოფებოდა, სააკაშვილმა აქციაზე მიმავალ კოლონას კლინიკის ფანჯრიდან საკუთარი ხელით დახატული დროშა დაუქნია, რა დროსაც ფანჯრის რაფიდან მისი ჩამოყვანა ბადრაგებმა სცადეს.

ამის შესახებ ალასანიამ გორის ჰოსპიტალის დატოვების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა და სააკაშვილის წერილიც წაიკითხა.

„დედაჩემის თვალწინ ბადრაგმა სცადა ჩემი ფანჯრის რაფიდან ძალით ჩამოყვანა მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხს საკუთარი ხელით დახატული და თავის დროზე ჩემი შემოღებული საქართველის დროშა დავუქნიე. ვერ ჩამომიყვანეს ჩემი წინააღმდეგობის გამო. ეს ხალხი ჩემს თვალში საქართველოს არ ემსახურებიან. საოკუპაციო რეჟიმის მსახურები არიან. საქართველოს დროშის დანახვაზე ასეთი რეაქცია არ უნდა ჰქონდეთ. ძირს საოკუპაციო ხელისუფლება, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“ – აღნიშნულია სააკაშვილის წერილში.

იაგო ხვიჩია: „პირადად მე შერიგება ვერ წარმომიდგენია“

– პირადად მე შერიგება ვერ წარმომიდგენია, როდესაც არ უნდათ შერიგება, ძალით ვერავინ შეარიგებს.

ამის შესახებ პარტია „გირჩის“ ლიდერმა იაგო ხვიჩიამ საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან შეხვედრამდე განაცხადა.

მისივე ინფორმაციით, პრეზიდენტთან მათი დიალოგის საგანი მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება არ იქნება, თუმცა პატიმრების შეწყალება აუცილებლად გადასადგმელი ნაბიჯია.

– ვუსმენთ ყველას, ვინც გამოხატავს სურვილს, რომ შერიგებისკენ და ტემპერატურის დაწევისკენ ვიაროთ. ველოდებით, როდესაც ერთ-ერთ მხარეს „გადაუნდება“ არსებული სიტუაციით ტკბობა და რამე სხვას გააკეთებს. როდესაც მიხვდებიან, რომ ადამიანებს მობეზრდათ ჩხუბი, რაღაც გამზადებული რეცეპტი უნდა ჰქონდეთ ამ შერიგების. ბევრი უნდა ვილაპარაკოთ ერთმანეთთან, რომ გავიგოთ, რა შეიძლება იყოს შერიგების წერტილი, ამაზე ზუსტი პასუხი მე ნამდვილად არ მაქვს.

ჩვენი საკითხი პრეზიდენტთან შეხვედრის სააკაშვილის გათავისუფლება არ იქნება, ამას ჩვენამდეც ბევრი ეტყოდა. თუმცა, პატიმრების შეწყალება, როგორც აუცილებლად გადასადგმელი ნაბიჯი, ნამდვილად იქნება. პოლიტიკურ საკითხებზე პრეზიდენტმა თავად შემოგვთავაზა დისკუსია და მის წინადადებებს მოვისმენთ ამ შემთხვევაში, – აღნიშნა იაგო ხვიჩიამ.

ის ასევე გამოეხმაურა მიხეილ სააკაშვილის მიერ გავრცელებულ მოწოდებას.

ხვიჩიას განცხადებით, სააკაშვილს მისი ამომრჩევლისთვის მოწოდების მორალური უფლება აქვს, თუმცა ეს „ხალხისთვის საკმარისი არ არის“.

– ის რიცხვი, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არჩევნებში მიიღო, აძლევს უფლებას, რომ მოუწოდებდეს ხალხს ქუჩაში გამოსასვლელად, მაგრამ აქამდე ვერ ვხედავთ, რომ ხალხი ქუჩაში გამოდის. მგონი, მარტო მოწოდება არ არის საკმარისი. მას აქვს მოწოდების მორალური უფლება თავის 500.000-მდე ამომრჩეველზე, რათა შეცვალონ მდგომარეობა, რომ ის ციხეშია, მაგრამ აქამდეც იყო მსგავსი რაღაცები და ეს ხალხისთვის საკმარისი არ არის.

ერთია არჩევნებში მიღებული ხმების რაოდენობა კონკრეტულ სიტუაციაში და მეორე, როდესაც ადამიანებს უნდათ რევოლუციურად ციხიდან გამოგიყვანონ და შენ ბედნიერად გააგრძელო მმართველობა, – აღნიშნა იაგო ხვიჩიამ.

ჯანმო მოსახლეობას საახალწლო გეგმების გაუქმებისკენ მოუწოდებს

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დირექტორი, ტედროს ადჰანომ გებრეიესუსი, ომიკრონის გავრცელების გამო, მოსახლეობას საახალწლო გეგმების გაუქმებისკენ მოუწოდებს. ინფორმაციას ამის შესახებ BBC-ი ავრცელებს.

გებრეიესუსის განცხადებით, კორონავირუსის „ომიკრონი“ ვარიანტი უფრო სწრაფად ვრცელდება, ვიდრე „დელტა“ შტამი და უკვე ვაქცინირებული ან კორონავირუსისგან გამოჯანმრთელებული პირების ინფიცირება შეუძლია.

„ყველა ჩვენგანი დაიღალა ამ პანდემიით. ყველას გვსურს დროის გატარება მეგობრებთან და ოჯახთან ერთად. ყველას გვსურს ნორმალური ცხოვრების დაბრუნება, თუმცა ყველას, ლიდერებსა და ინდივიდუალურ პირებს, რთული გადაწყვეტილებების მიღება მოგვიწევს ხალხის დასაცავად, მათ შორის სადღესასწაულო ღონისძიებების გაუქმებით ან გადადებით. სჯობს ახლა გავაუქმოთ და მოგვიანებით ვიზეიმოთ, ვიდრე ახლა ვიზეიმოთ და მოგვიანებით ვიგლოვოთ“ – განაცხადა ტედროს ადჰანომ გებრეიესუსმა.

„ომიკრონი“ აშშ-ში დომინანტური შტამი გახდა



„ომიკრონი“ აშშ-ის ტერიტორიაზე დომინანტური შტამი გახდა. ინფორმაციას ამის შესახებ ამერიკის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრი ავრცელებს.

12-18 დეკემბრის პერიოდში „ომიკრონით“ ინფიცირების წილი 73,2%-მდე გაიზარდა, „დელტას“ წილი კი 26,6%-მდე შემცირდა, მაშინ როცა, წინა კვირაში შემთხვევების 87% „დელტას“ შტამზე მოდიოდა.

„ომიკრონის“ შემთხვევები ამერიკის თითქმის ყველა შტატშია დაფიქსირებული, გამონაკლისს მხოლოდ ოკლაჰომა და ჩრდილოეთ დაკოტა წარმოადგენენ. ზოგიერთ შტატში „ომიკრონით“ ინფიცირებულთა წილი 90%-ს აღემატება.

ამერიკაში „ომიკრონით“ ინფიცირებული პაციენტის პირველი გარდაცვალებაც დაფიქსირდა. კერძოდ, გარდაცვლილია ტეხასის შტატში მცხოვრები 50 წლის კაცი, რომელიც აუცრელი იყო.

ახალი ამბები
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ჩვენ შერიგება რისთვის გვინდა, მხოლოდ მიშა და ბიძინა იყვნენ კარგად?!“

გია ხუხაშვილი: „სალომე ზურაბიშვილმა იცის, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი პასუხობს.

– ბატონო გია, პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი ეროვნულ შეთანხმებაზე საუბრობს. სალომე ზურაბიშვილისგან წამოვიდა ეს იდეა და ცდილობს, შედეგს მიაღწიოს. რამდენად სერიოზულად უყურებთ თქვენ ამ პროცესს?

– მე არ ვუყურებ სერიოზულად, იმიტომ, რომ საერთოდ გაუგებარია, რა პროცესთან გვაქვს საქმე. ამ ტიპის შერიგებები, ანუ ეროვნული თანხმობის მიღწევა, არ არის შესაძლებელი პოლიტიკოსების გარიგების საფუძველზე, საითაც ახლა მიჰყავთ პროცესი.

– ფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი გარიგებას უფრო ჰგავს?

– დიახ, ყველა მხარე ამაში დებს თავის საკუთარ პოლიტიკურ ინტერესს. ჩვენ დღეს რომც შევრიგდეთ ყველა და დავივიწყოთ წარსული. წარსული როგორც წინა ხელისუფლების დანაშაული, ისევე დღევანდელი ხელისუფლების დანაშაული, ამათაც არ დაუკლიათ ხომ?! ვთქვათ დავივიწყოთ ეს ყველაფერი, კი ბატონო, შეიძლება თეორიულად ამას მივაღწიოთ, მაგრამ ხვალ იგივე მანკიერი წესებით თუ ვაგრძელებთ ცხოვრებას, რა აზრი აქვს ასეთ შერიგებას?! ეს ნახეთ რას დაემსგავსება, რომ ვიღაცა ერთი იქსი, იგრეკს ურტყამს თავში ყოველდღე, მერე ვიღაცამ გადაწყვიტა და შეარიგა ესენი. პირველმა მეორეს ბოდიში მოუხადა, გუშინ რომ წამოგარტყი, იყო ცუდი და გიხდი ბოდიშსო. მეორე დღეს გაიარა და ისევ თავში წამოარტყა, აი ასეთ შერიგებას რამე ფასი აქვს, თუკი თამაშის წესები არ შეიცვლება?! იმის გარანტიები თუ არ შეიქმნა, რომ ხვალიდან თამაშის წესები იქნება სამართლიანი, არანაირ შერიგებას აზრი არა აქვს.

– თამაშის წესები რომ შეიცვალოს, ამის წინაპირობას ვერ ხედავთ?

– არანაირი წინაპირობა. ამაზე არც არავინ არ ლაპარაკობს. მოგისმენიათ, რომ გაიწმინდება მურუსიძის სასამართლო? ან მოხდება პოლიციის სრული დეპოლიტიზება? ან საარჩევნო გარემო იმდენად გაუმჯობესდეს, რომ აღარ იყოს პრეტენზიები. ვინმე ამაზე საუბრობს?! არავინ არ საუბრობს. არც პრეზიდენტი არ საუბრობს. მე გეკითხებით, დღეს მე და თქვენ, რაც არ უნდა შევრიგდეთ, თუ ხვალიდან წესები ისევ უსამართლო იქნა, რა შანსია იმისა, რომ ჩვენმა შერიგებამ გასტანოს დიდხანს?! არანაირი, ნულოვანი! ჩვენი პრობლემის გადაწყვეტა ის კი არ არის, რომ მიშამ და ბიძინამ ერთმანეთს ხელი ჩამოართვან, ამით პრობლემა არ წყდება.

– მხოლოდ ამას ემსახურება პრეზიდენტის აქტიურობა?

– ეს არის მხოლოდ მათი გარიგება და მათი ინტერესის გატარება, მეტი არაფერი. მე არ ვიცი პრეზიდენტის აქტიურობა რას ემსახურება. საფუძველს ვერ ვხედავ იმისას, რომ მოხდეს დიდი ეროვნული თანხმობის მიღწევა. ეროვნული თანხმობის მიღწევა, ეს არ არის პოლიტიკოსების შერიგება და მორიგება. ეროვნული თანხმობის მიღწევა არის, მთლიანად საზოგადოებაში, სამართლიანობის გაჩენა. სამართლიანობის საფუძვლის ჩამოყალიბება და იმის იმედი, რომ ხვალიდან ვიღაცა უსამართლოდ არ დაგჩაგრავს. საზოგადოება ახლა არის ორ ნაწილად გაყოფილი, ვიღაცა თავს გრძნობს დაზარალებულად წინა ხელისუფლების მხრიდან და ელოდება მისგან ბოდიშს, რომ პატიების საფუძველი გაუჩნდეს. ასევე გაჩნდა საზოგადოების მეორე ნაწილი, რომელიც თავს გრძნობს დაზარალებულად უკვე დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან, რომელსაც აგრეთვე უნდა ბოდიში.

– თუკი მოიხდის ბოდიშს ორივე მხარე?

– ეს ბოდიში რომც იყოს, თუკი ხვალიდან თამაშის წესებს არ ვცვლით, მაშინ აზრი არა აქვს არაფერს. ახლა რაც არ უნდა ბოდიში მოიხადონ, თუკი ხვალიდან ცხოვრების ისევ ისე გაგრძელებას აპირებენ, იგივე წესებით, მაშინ რა აზრი აქვს ამ ბოდიშს?! იმისათვის, რომ გარემო შევქნათ ისეთი, რომ ხვალ არავის არავისთან ბოდიში მოსახდელი არ ექნება და სამართლიანობა იქნება უზრუნველყოფილი, მაშინ სხვა საკითხია. არ იქნება სამართლიანობა? არ იქნება შერიგება! აი ეს არის მარტივი ფორმულა. სამართლიანობის დამკვიდრებაზე არავინ არ ფიქრობს, არც პრეზიდენტი არ ფიქრობს. აი ამაშია საქმე და ამას აქვს მექანიკური, პაკაზუხური ხასიათი და მეტი არაფერი. შესაბამისად, პროექტი არის მკვდრადშობილი და არაფრის მომტანი!

– აქამდე ნაციონალებს ჰქონდათ ულტიმატუმები და წინაპირობები, ახლა აცხადებენ, რომ ყველანაირი წინაპირობის გარეშე უნდა წავიდეთ მოლაპარაკებებზეო.

– ეს არის მანევრები და ლაყბობა, მეტი არაფერი. პროცესს საზოგადოებისთვის, სახელმწიფოებრივად აზრი არა აქვს. ვიღაც პოლიტიკოსმა შეიძლება რაღაც გამორჩენა იპოვოს ამ პროცესისგან, მაგრამ სახელმწიფოს ან ხალხს რაა აქედან? არაფერი! ჩვენი მიზანი რა არის, რომ მიშა და ბიძინა იყვნენ კარგად?! ეს არის ჩვენი ამოცანა?! თუ ეგ არის ჩვენი ამოცანა, კი ბატონო. თუმცა, არა მგონია, სახელმწიფოს ამოცანა ეგ იყოს.

– კიდევ ერთი მცდელობა ხომ არ არის იმის, რომ საზოგადოების ყურადღება გადაიტანონ ამ ახალ თემაზე? მიშას თემა ცოტა მობეზრდა საზოგადოებას.

– ევროპას ეპრანჭება პრეზიდენტი და თავისი სტატუსის დატვირთვა უნდა, ეს არის და ეს. მეტი არაფერი არ ხდება. თვითონაც კარგად ესმის ზურაბიშვილს, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვა.

– თანაც იმ ფონზე, როდესაც პოლიტიკური პროცესები აქვთ სასამართლოში. თუნდაც ხაზარაძის საქმეზე რას იტყვით?

– რა თქმა უნდა, ამაზე არავინ საუბრობს. დავუშვათ შეთანხმების ნაწილი გახდა და სასამართლოში ხაზარაძის საქმე შეჩერდა, ამით პრობლემა გადაწყდება?! არ გადაწყდება. ხვალე სხვა პოლიტიკური საქმე იქნება თუ სასამართლო არ გაიწმინდა. ჩვენი საზოგადოების პრობლემა ის კი არ არის, რომ ან მიშას პრობლემა გადაწყვიტონ, ან ბიძინასი და ან ხაზარაძის, საზოგადოების სურვილია, რომ სისტემურად გადაწყდეს ეს ყველაფერი და არა ისე, ვიღაცებს შორის გარიგება და ვიღაცამ თავის გამორჩენა იპოვოს ამ პროცესიდან!

– რა ხდება ხელისუფლების შიგნით, ბატონო გია? პრემიერი პომპეზურად აფასებს მისი მოღვაწეობის ერთ წელს, აცხადებს, რომ ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვაქვს. ჩვენ სხვა ქვეყანაში ვცხოვრობთ?

– სამარცხვინოა ეს განცხადებები. პრემიერი ფაქტიურად ეჩხუბება მაცივარს. ის ამბობს, რომ გვაქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა და ამ დროს მაცივარში გვაქვს ორნიშნა კლება. ხალხი საკუთარი მაცივრით აფასებს ეკონომიკურ ზრდას. ფაქტია, რომ მათ შემოსავალი არ გაეზარდათ და გაუძვირდათ ცხოვრება. მეორეც, წმინდა ეკონომიკური კატეგორიებით რომ ვიმსჯელოთ, ორნიშნა ზრდით რომ ამაყობს, ორნიშნა 12,5% ინფლაცია რომ გვაქვს, ამ ინფლაციამ უკვე შეჭამა ეს ზრდა. ჩვენ რეალურად ზრდა კი არა გვაქვს, კლება გვაქვს. ინფლაციამ გადაფარა ეს ყველაფერი. პრემიერი კი ზღაპრებს გვიყვება! ან კომპეტენცია არა აქვს და ვიღაცა ატყუებს და კომპეტენცია რომ არა აქვს, ეს თავად ბიძინამ თქვა თავის ინტერვიუში, რა იცის მაგან ფინანსების და ეკონომიკისო. მეც დავეთანხმებოდი ამ შემთხვევაში.

– არის იმის შანსი, რომ სისტემურ ცვლილებაზე ვისაუბროთ?

– რა თქმა უნდა, ძალიან მცირეა ამის შანსი. რეალურად საზოგადოებამ უნდა აიძულოს ხელისუფალი, რომ სისტემური ცვლილებები გაატაროს. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება ვერ არის მთლად კარგ ფორმაში. ძალიან პასიურია.

– მხოლოდ ცუდსა და უარესს შორის რომ უწევს არჩევანის გაკეთება, იმის შედეგი ხომ არ არის ეს?

– რა თქმა უნდა, აბა რაა, მომავლის არჩევანი რამდენი ხანია წართმეული გვაქვს. ჩვენ არჩევანს ვაკეთებთ წარსულსა და აწმყოს შორის. მომავალზე საერთოდ აღარც ვფიქრობთ.

– ხაზარაძის საქმეზე ვსაუბრობდით და რამდენად ელოდებით პოლიტიკურ დაპატიმრებებს?

– ამ ხელისუფლების პირობებში ყველაფერი შესაძლებელია, მე არაფერს არ გამოვრიცხავ. პროგნოზებისგან კი თავს შევიკავებ.

„რიგგარეშე არჩევნებში ოპოზიცია კვლავ დამარცხდება“

რამაზ საყვარელიძე: „რაც უფრო ხმაურიანი და დესტაბილიზაციისკენ იქნება ოპოზიციის პოლიტიკა მიმართული, უფრო დაკარგავენ ამომრჩეველს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, პრეზიდენტი შერიგების ინიციატივასთან დაკავშირებით, პოლიტიკოსებს ინდივიდუალურად ხვდება. სალომე სამადაშვილმა განაცხადა, რომ მას შთაბეჭდილება დარჩა, ზურაბიშვილი პროცესის ერთგვარ არქიტექტურაზე მუშაობს. თქვენი მოლოდინი როგორია?

– პრეზიდენტის ამ იდეას უდავოდ დადებითად შევაფასებ. რაც შეეხება სამმამავლო ურთიერთობების არქიტექტურას, ეს ყველა სფეროში მნიშვნელოვანია და, რასაკვირველია, პოლიტიკაში უმნიშვნელოვანესია. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ პირადად მე რაიმე განსაკუთრებულს არ ველოდები შერიგებისა თუ ეროვნული თანხმობის მიმართულებით. შეიძლება ვცდები.

პოლიტიკური დაპირისპირება ყველა ქვეყანაში ბუნებრივი პროცესია. თუმცა, ყველაფერს აქვს საზღვარი და, ცხადია, მათ შორის, დაპირისპირებასაც. სტილისტურად რასაც ვუყურებთ, რადიკალიზმი, პოლარიზება, სიძულვილის ენა, რომლითაც არის გაჯერებული საქართველოს პოლიტიკა, არ არის კარგის მომტანი არც სახელმწიფოსთვის და არც პოლიტიკოსებისთვის. თუ პრეზიდენტის ეს ინიციატივა მოხსნის ამ პრობლემას, მხოლოდ მივესალმები და მხოლოდ დადებითად წაადგება ყველას.

დასავლეთში პოლიტიკური კულტურა არეგულირებს ამ ყველაფერს. ჩვენ, როგორც ჩანს, არც პოლიტიკური კულტურა გვყოფნის და არც შინაგანი კულტურა, რომელიც ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს.

– ფიქრობთ, ეს პროცესი პოლიტიკური თამაშის წესებზე ერთგვარ შეთანხმებას უნდა გულისხმობდეს და არა შერიგებას ან თანხმობას?

– დიახ, სიძულვილის ენაზე სწორედ ამიტომ გავაკეთე განსაკუთრებული აქცენტი. დიახ, თამაშის წესებზე უნდა მოხდეს შეთანხმება არა მხოლოდ პოლიტიკოსებს შორის, მე ვიტყოდი, უფრო ფართოდაც. ევროპაში ადამიანები დიდი ხანია ასეთი თამაშის წესებზე შეთანხმდნენ.

მე, მაინც მგონია, იმავე ტიპის სულისკვეთებაზეა საუბარი, რომელსაც მიშელის დოკუმენტი მოიცავდა. მაშინ „შერიგებაში“ ოპოზიციის პარლამენტში შესვლა იგულისხმებოდა.

– მიშელის დოკუმენტმა, რომელიც დღეს არ მუშაობს, მოიტანა ის, რომ ოპოზიცია პარლამენტში შევიდა. ფიქრობთ, სწორედ ასეთ კონკრეტიკაზე უნდა იყოს საუბარი?

– უფრო პროდუქტიულობის თვალსაზრისით, ალბათ, კარგი იქნებოდა.

ერთ ნიუანსზე მინდა ყურადღების გამახვილება: როგორც ცნობილია, ამ პროცესს დასავლეთის მხარდაჭერა აქვს. ისინი ყურადღებას ამახვილებენ დესტაბილიზაციის საფრთხეებზე, რომ ამ ტიპის დესტაბილიზაციის დროს რუსეთს ყოველთვის აქვს თავისი ინტერესი. არ გამოვრიცხავ, ამ მიმართულებითაც იყოს ერთგვარი შეთანხმება, მსჯელობა ოპოზიციასთან, რომ რუსეთის წისქვილზე არ დავასხათ წყალი პოლიტიკური ბრძოლის დროს, რომ ქვეყნის სტაბილურობა არ დავაყენოთ კითხვის ქვეშ.

– თქვენ თქვით, რომ ალბათ 2024 წლამდე არჩევნები არ იქნება. შეიძლება ვადამდელი არჩევნების საკითხი პოლიტიკური დღის წესრიგიდან გაქრეს? ოპოზიცია უკვე იშვიათად ახსენებს რიგგარეშე არჩევნებს.

– ოპოზიციისგან რიგგარეშე არჩევნების თემის ასე გაიშვიათება, იმითაც არის განპირობებული, რომ ანალიზი გააკეთეს. დაითვალეს, რა შედეგი შეიძლება დადგეს ვადამდელი არჩევნების შემთხვევაში. სიმართლე გითხრათ, არ მესმის, აქამდე რატომ არ დაითვალეს.

– რა შედეგი შეიძლება დადგეს?

– ხელახალ არჩევნებში ხელახალ მარცხს მიიღებს ოპოზიცია. არაფერი არ მომხდარა ქართულ სინამდვილეში საიმისოდ, რომ რიგგარეშე არჩევნებმა გამარჯვება ოპოზიციას მოუტანოს. ხოლო რაც შეეხება ქუჩის პოლიტიკას, უფრო და უფრო დადასტურდა, რომ დესტაბილიზაცია, არეულობა ამ ქვეყნის მოქალაქეებს არ უნდათ. პირიქით, რაც უფრო ხმაურიანი და დესტაბილიზაციისკენ იქნება ოპოზიციის პოლიტიკა მიმართული, უფრო დაკარგავენ ამომრჩეველს. ახლის მიმხრობასა და გაჩენაზე საერთოდ საუბარი ზედმეტია. აშკარაა, რომ ამომრჩეველი დესტაბილიზაციას ემიჯნება.

„პარლამენტის 60 ოპოზიციონერი დეპუტატი არაფერს ითხოვს და არაფერს აკეთებს!“

გიგა ბუკია: „თანხმობა ვერ შედგება, ვინაიდან მმართველი პარტია და მთავარი ოპოზიცია ამის სურვილს არ ამჟღავნებენ“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ყოფილ დეპუტატს, გიგა ბუკიას.

– პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებით, ეროვნული თანხმობის პროცესი ღია და გამჭვირვალეა და პრეზიდენტი უსმენს ყველას, ფართო საზოგადოებას. თქვენ რას ფიქრობთ და რას აპირებთ?

– საერთოდ, დიალოგს და თანხმობას რა ჯობია, მაგრამ ამ შემთხვევაში ოპტიმიზმი არ მაქვს. ეს მდგომარეობა მაგონებს ანდაზას იმის შესახებ, რომ ვირს პიტნა არ უყვარდა და ცხვირში ტენიდნენო. თანხმობა და სტაბილურობა სასურველია, მაგრამ ეს მთავარ ოპოზიციურ ძალებსაც უნდა უნდოდეთ. თანხმობა ვერ შედგება, ვინაიდან მმართველი პარტია და ძირითადი ოპოზიცია ამის სურვილს არ ამჟღავნებენ.

– რატომ ხდება ეს?

– იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა პოლარიზაციითა და უკიდურესი რადიკალიზმით ინარჩუნებენ თავიანთ მდგომარეობას. მმართველ პარტიას ძალაუფლების შესანარჩუნებლად სჭირდება მასთან დაპირისპირებული ნაციონალური მოძრაობა. ნაცმოძრაობას, თავის მხრივ, ესაჭიროება „ქართული ოცნება“ იმისთვის, რომ იყოს მთავარი ოპოზიცია და პერსპექტივაში მოვიდეს ხელისუფლებაში. ახლანდელი პოლარიზებული გარემო ორივე მხარეს აწყობს და დეპოლარიზაციაზე რატომ წამოვა?! პრეზიდენტის მიერ დაწყებულ თანხმობის პროცესს ჰყავს მომხრეებიც. არა მგონია, რომ მათი მცდელობა შედეგის მომცემი გამოდგეს. ჩემი აზრით, თანხმობის მომტანი უნდა იყოს მთავარი ბერკეტი, რომელიც ხალხის ხელშია. ეს არის არჩევნები. ამომრჩევლებს შეუძლიათ არჩევნებზე მიიღონ გადაწყვეტილება და სახლში გაუშვან „ქართული ოცნებაც“ და ნაციონალური მოძრაობაც.

– კონსერვატორები თანხმობის პროცესს არ შეუერთდებით?

– შედეგს არ ველით, თორემ დალაპარაკების წინააღმდეგი არა ვართ. ამ ვითარებაში ამ პროცესში ჩართვას აზრი არა აქვს.

– პოლიტიკოსებმა და საზოგადოებამ პრობლემებზეც ხომ უნდა ილაპარაკონ?

– რასაკვირველია. ამომრჩეველი ირჩევს პარტიებს, ადამიანებს, რომლებმაც მისი და ქვეყნის ინტერესები უნდა დაიცვან. ეს უნდა მოხდეს პარლამენტში, საკრებულოებში. დღევანდელი პარლამენტი საერთოდ არ ჰყავს საკანონმდებლო და წარმომადგენლობით ორგანოს. ოპოზიცია პარლამენტის შესაძლებლობებს არ იყენებს.

– მოქმედ პარლამენტს გულისხმობთ?

– მოქმედი პარლამენტი საერთოდ გაუგებრობაა. ოპოზიცია იქ არ მუშაობს. არადა, პარლამენტს დიდი შესაძლებლობები აქვს – საკანონმდებლო ინიციატივების წარდგენა-დამტკიცება, საგამოძიებო კომისიების შექმნა, მინისტრებისთვის შეკითხვებისა და მოთხოვნების დასმა და სხვა. ახლა რომელიმე მინისტრი ანგარიშით მიდის პარლამენტში და მას ოპოზიცია არ ხვდება. 60 ოპოზიციონერია პარლამენტში და ეს ხალხი არსად ჩანს. წინათ ასე არ იყო. მაგალითად, 2012-16 წლების პარლამენტში ბევრად უფრო აქტიური იყო ოპოზიცია. უმრავლესობაც (ჩვენ უმრავლესობაში ვიყავით) ნაყოფიერად მუშაობდა. ნაციონალური მოძრაობა, გარდა სააკაშვილის გათავისუფლებისა, არაფერს ითხოვს და არაფერს აკეთებს. არჩევნებზე იმისთვის არ მიუღიათ ხმები, რომ არაფერი აკეთონ. როგორც ჩანს, მიშას გარეშე არაფერს წარმოადგენენ. საკმარისია მიშა სააკაშვილი გაეცალოს ნაცმოძრაობას, ეს პარტია გაქრება.

– ნაცმოძრაობის მომავალზე რა პროგნოზი გაქვთ?

– ვფიქრობ, რომ გაგრძელდება ის მდგომარეობა, რომელიც „ქართულ ოცნებასაც“ და ნაციონალურ მოძრაობასაც აწყობთ. ასე ექნებათ გარანტიები მომავალი საქმიანობისთვის.

„ზუგდიდის საკრებულოში იქაური ნაციონალები ასრულებენ პარტიული ბოსების დაკვეთებს და ქმნიან კრიზისს“

– თქვენი აზრით, რა გათვლა ჰქონდა პრეზიდენტს, როცა თანხმობის ინიციატივით გამოვიდა?

– პრეზიდენტს აქვს თავისი უფლებამოვალეობები. ამის გარდა, ეტყობა, სალომე ზურაბიშვილს ჰქონდა კეთილი სურვილები. ჩვენ ვხედავთ, რომ მის იდეას არ იზიარებენ მმართველ პარტიაში. სააკაშვილი ყოველდღე სხვადასხვა რამეს ამბობს, თან მხარდამჭერებს აქციებისკენ მოუწოდებს.

– ეროვნულ თანხმობაში მთლიანად საზოგადოება მოიაზრება და ხალხში დაპირისპირება არსებობს?

– ალბათ, გახსოვთ პირველი შეხვედრა პრეზიდენტის რეზიდენციაში. იქ ბევრი პოლიტიკოსი მივიდა. მოვიყვან ციფრებს. „ქართულ ოცნებას“ და ნაციონალურ მოძრაობას ერთად აღებულს ხმას აძლევს 90%. სხვა პარტიებს – 10%. იმ მიღებაზე იყო ბევრი პოლიტიკოსი, რომელსაც არა აქვს მხარდაჭერა. გამოდის, რომ მოიაზრება ის 90%.

– ადამიანებს, რომლებიც ხმას აძლევენ „ქართულ ოცნებას“ და ნაცმოძრაობას, ერთმანეთში დაპირისპირება ხომ არა აქვთ?

– მაგას თუ მეკითხებით, რასაკვირველია, არა აქვთ. მტრობა არ არსებობს და ამ ადამიანებს ერთმანეთთან შესარიგებელი არაფერი აქვთ. საერთოდ, ადამიანებს დაუგროვდათ საკუთარი პრობლემები. მტრობა და რადიკალიზმი ჩანს ტელევიზიებში, სადაც პოლიტიკოსები „ებრძვიან“ ერთმანეთს.

– ესკალაცია გაგრძელდება?

– საშობაოდ, საახალწლოდ და სააღდგომოდ შეჩერდება, სხვა დროს გაგრძელდება.

– „ქართული ოცნების“ ლიდერები აცხადებენ, რომ ნაცმოძრაობამ თანხმობამდე დანაშაულები უნდა აღიაროს და მოინანიოს. ესეც რადიკალიზმის გამოვლინებაა?

– ცხადია. ერთი ძალაც და მეორეც ცდილობს ცეცხლზე ნავთი დაასხას. კოალიციური მმართველობა არც ერთს არ უნდა. რევოლუციური სცენარი იმიტომაც აწყობს ნაციონალურ მოძრაობას, რომ ასე დაამყარებს ერთმმართველობას. სხვანაირად, კანონმდებლობით, ფაქტობრივად, შეუძლებელია ერთპარტიულად მოსვლა ხელისუფლებაში. „ქართული ოცნებაც“ არ აპირებს ძალაუფლების გაყოფას.

– ახალი საკრებულოების მუშაობაზე რას იტყვით?

– იქაც, ანუ რეგიონებში, ხდება იგივე, რაც ცენტრში. სადაც „ოცნებაა“ უმრავლესობაში, იქ არავის არაფერს უყოფენ და არავის აზრს არ კითხულობენ. ზუგდიდის საკრებულოში იქაური ნაციონალები ასრულებენ პარტიული ბოსების დაკვეთებს და ქმნიან კრიზისს. იმის მაგივრად, რომ ყველამ იფიქროს ხალხის პრობლემების გადაჭრაზე, ერთმანეთს უპირისპირდებიან. ყველგან ერთი და იგივე იწილო-ბიწილოა. იმის მაგივრად, რომ ადგილებზე გამოცდილიყო კოალიციური მართვის მოდელი, არის შეურიგებლობა და რადიკალიზაცია.

„პასუხისმგებლობას არავინ უნდა გაექცეს“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „გერმანელები კალანდაძის საქართველოში ექსტრადიციას წინააღმდეგობას არ გაუწევენ“

გულიკო ბალაძე

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის ყოფილი უფროსი მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, გენერალი გიგი კალანდაძე, რომელიც 2008 წლის ომის დროს მე-4 სამხედრო ბრიგადას ხელმძღვანელობდა, გერმანიის სამართალდამცავებმა ბერლინის აეროპორტში დააკავეს. ის ინტერპოლით იძებნებოდა. გენერალურმა პროკურატურამ გერმანულ მხარეს გიგი კალანდაძის საქართველოში ექსტრადიციის შუამდგომლობით მიმართა.

აღნიშნულ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარეს **ნიკოლოზ მჟავანაძეს**.

– ბატონო ნიკოლოზ, გერმანიაში დააკავეს სააკაშვილის დროინდელი გენშტაბის უფროსი, გენერალი გიგი კალანდაძე. ალბათ, მისი დაკავების ფაქტს სხვადასხვა ინტერპრეტაციები მოჰყვება ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან. როგორ აფასებთ ამ ფაქტს?

– უშუალოდ სააკაშვილის გარემოცვა – კეზერაშვილი, ადეიშვილი და სხვა მაღალჩინოსნები – უამრავ დანაშაულში არიან ბრალდებული. კალანდაძეც ბრალდებულია გარკვეული დანაშაულის გამო. ამიტომ დააკავეს. თუმცა, საკითხავია, ექსტრადიცია როგორ მოხდება.

– რას გულისხმობთ?

– გერმანიის მთავრობა საქართველოს თუ გადმოსცემს. ყოფილა შემთხვევა, როდესაც გარკვეული პირები არ გადმოუციათ. მაგალითად, დათა ახალაიას ექსტრადიციის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

– კეზერაშვილიც არ გადმოგვცეს. როგორც მითხრეს, იმდროინდელმა პროკურატურამ მხარეს სათანადო საბუთები არ წარუდგინა.

– ვნახოთ, როგორ იმოქმედებენ. რომელი გენშტაბის უფროსი იყო, ჩვენი ჯარისკაცები ცხინვალში რომ მიატოვეს და თვითონ გამოიქცნენ? ამიტომ მან პასუხი უნდა აგოს. ამჯერად კონკრეტული პირის გამო აქვს წაყენებული ბრალი. ისე გაიძახიან, მთავარსარდალიო, მხედართმთავარიო, თითქოს ომი მოიგეს.

საქართველოს წინაშე წაგებული ომის გენერლები არიან. იარაღი, რაც ჰქონდათ, მიატოვეს და საქართველო დააქციეს. მათ 2008 წლის წაგებული ომისთვის პასუხი უნდა აგონ. იარაღით სავსე კოდორი მტერს ჩააბარეს. უბრძოლველად ჩააბარეს ახალგორიც. მთელი ტექნიკა მტერს დაუტოვეს. ვფიქრობ, ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი კითხვა არსებობს. კარგია, რომ ხელისუფლებამ ისინი პასუხისგებაში მისცა. სააკაშვილიც დაჭერილია. მთავარია, პასუხისმგებლობას არავინ გაექცეს.

– როდესაც ომზეა საუბარი, ამბობენ, რომ გიგი კალანდაძე იმ დროს მე-4 სამხედრო ბრიგადას ხელმძღვანელობდა, რომელთან ბრძოლაშიც რუსი გენერალი ხრულოვი დაიჭრა. სააკაშვილი აცხადებს, რომ ხელისუფლება ყველა იმ პირს ებრძვის, ვინც რუსეთს ეწინააღმდეგებოდა.

– მერე რა, ხრულოვი რომ დაიჭრა, ის ომი მოვიგეთ? სააკაშვილი ისე ლაპარაკობს, თითქოს ომი მოვიგეთ. ძირძველი ქართული ტერიტორიები არ დავკარგეთ? რუსი გენერლის დაჭრა ჩვენ რაში გვარგებს? საქართველოს იმხელა ტერიტორიები დავკარგეთ, ხრულოვის დაჭრა რაში მაინტერესებს.

ხრულოვის დაჭრას ეფექტი მაშინ ექნებოდა თუ ტერიტორიებს დავიბრუნებდით. უამრავი ახალგაზრდა ჩატოვეს ცხინვალში. ცხედრები ქუჩაში ეყარა, სააკაშვილს კი, რუსთაველზე ცეკვა-თამაში ჰქონდა გამართული. სააკაშვილს ჰგონია, ხალხს დაავიწყდა, რაც ხდებოდა?!

წაგებული ომის გენერლები ისე იხსენებენ 2008 წლის ომს, თითქოს ტერიტორიები დაგვებრუნებინოს. ამიტომ ამ საქმეზე პასუხისგებაში არიან მისაცემი. პიჯაკებზე რომ საუბრობენ, ამ საკითხზე უნდა მიეცენ პასუხისგებაში სააკაშვილი, კალანდაძე, უგულავა და სხვები. უამრავი მტკიცებულებაა, რომ ნაცხელისუფლებამ 2008 წლის ომი შეგნებულად წააგო. ისინი სხვადასხვა ქვეყნების ორმაგი და სამმაგი აგენტები არიან.

– „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ლიახვის ხეობის ყოფილმა მაჟორიტარმა დეპუტატმა გურამ ვახტანგაშვილმა არაერთხელ ისაუბრა იმაზე, თუ როგორ გამოიქცნენ მისი სოფლიდან ერედვიდან (სამხედრო თუ არასამხედრო) ხელმძღვანელები, ახალაია და სხვები.

– ომის გენერლები გაიქცნენ, ჩვენ არც კი გვიომია. ჯარისკაცებმა იომეს. რუსები რომ შემოვიდნენ, უფროსობა გამოიქცა, ჯარისკაცები კი უპატრონოდ დატოვეს და ჩვენი ბიჭები ცხინვალში ჩახოცეს. შინდისთან ჯარისკაცებმა იბრძოლეს. ეს ხალხი სიამაყით რომ ლაპარაკობს, ხრულოვი დავჭერითო, ხრულოვი დაჭრა რიგითმა ჯარისკაცმა, არტილერიაზე ვინც მუშაობდა. არტილერიამ იმოქმედა. მერე რა, რომ ხრულოვი დაჭრეს? ტერიტორიები ხომ დავკარგეთ, პასუხი არ უნდა აგონ?!

გამოდიან კობა ნაყოფია და სხვები და ქართული სახელმწიფოს შემქმნელად სააკაშვილს ასაღებენ. ქართული სახელმწიფო შექმნა დავით აღმაშენებელმა, თამარ მეფემ და გიორგი ბრწყინვალემ, რომელი ქართული სახელმწიფოს შექმნაზე ლაპარაკობენ.

– სააკაშვილს ახალი ქართული სახელმწიფოს შექმნაზე აქვს პრეტენზია.

– არც ახალი ქართული სახელმწიფოს შემქმნელები არიან. შევარდნაძის დროს შუქსა და გაზს სპეციალურად თიშავდნენ, ხალხი რომ აჯანყებულიყო. ახლა შუქსა და გაზს გვამადლიან, ბნელი საქართველო გავანათეთო. რა აქვთ სალაპარაკო? ტერიტორიები დაკარგეს, ხალხს დედა უტირეს, ხალხი ჩახოცეს, გააუპატიურეს, აწამებდნენ და კიდევ იმაზე ლაპარაკობენ, ქართული სახელმწიფოს შემქმნელები ვართო.

დავით აღმაშენებელს და ზვიად გამსახურდიას ედრებიან, როგორ არ რცხვენიათ? ზვიად გამსახურდია გროზნოდან საქართველოში რომ ჩამოვიდა, მთელი საქართველო დახვდა. სააკაშვილი რომ დაიჭირეს, სასამართლო პროცესზე 1000 კაციც კი არ მივიდა.

უნდა მიხვდნენ, რომ ხალხს ნაცები და სააკაშვილი ეზიზღება.

– ფიქრობთ, რომ გიგი კალანდაძეს ტერიტორიული მთლიანობის რღვევისთვისაც უნდა წარედგინოს ბრალი?

– უდანაშაულობის პრეზუმპციას არ დავარღვევ. მიუხედავად იმისა, მას გარკვეული ბრალი აქვს წაყენებული, დამნაშავეს ვერ ვუწოდებ, სანამ გამამტყუნებელი განაჩენი არ იქნება, მაგრამ ფაქტია, რომ 2008 წლის ომში ჩვენ პოზიციები დავთმეთ. მივატოვეთ ჩვენი ჯარისკაცები. ამიტომ ამ ომთან დაკავშირებით გამოძიება უნდა დაიწყოს. მთავარსარდალი ციხეშია, მოვითხოვ, სააკაშვილი 2008 წლის ომთან დაკავშირებით დაიკითხოს.

კალანდაძესაც თუ ჩამოიყვანენ, ისიც დაიკითხება. უნდა გამოიძიონ, კბილებამდე შეიარაღებულმა ჯარმა უბრძოლველად რატომ დატოვა პოზიციები ცხინვალის რეგიონსა და კოდორში? მტერს ყველაფერი დაუთმეს. ბრძოლა არ გამართეს. რიგითი მეომრების გმირობას თავის თავზე ნუ იწერენ. შინდისის გმირების, ტატუნაშვილისა და უამრავი მებრძოლის გმირობას თავის თავზე იწერენ. თვითონ რა გააკეთეს? ამიტომ გიგი კალანდაძეს და სხვებს გმირად ნუ შერაცხავენ. ისინი წაგებული ომის გენერლები არიან.

– თურმე კალანდაძე უკრაინის მოქალაქეა. შეიძლება ექსტრადიციას ამან ხელი შეუშალოს?

– უკრაინის მოქალაქეობა ხელს არაფერს შეუშლის. ასე სააკაშვილიც უკრაინის მოქალაქეა, მაგრამ არ შეუშალა ხელი.

– სააკაშვილი თვითონ ჩამოვიდა.

– კი, მაგრამ კალანდაძე უკრაინაში რომ დაეკავებინათ, მაშინ შეიძლება არ გადმოეცათ. გერმანიაშია დაკავებული. თუმცა, ევროპას რას გაუგებ. მთლად გარანტირებული არ არის კალანდაძის გადმოცემა, მაგრამ იმედია, გერმანელები კალანდაძის საქართველოში ექსტრადიციას წინააღმდეგობას არ გაუწევენ.

დაკარგული რამაზ გერლიანის წერილი და მობილური იპოვეს

სამართალდამცავებმა „ეკონომიკური ტრანსფორმაციის ცენტრის“ დირექტორის, ეკონომიკური ექსპერტის, რამაზ გერლიანის წერილსა და მობილურ ტელეფონს მიაკვლია.

წერილიც და ტელეფონიც ორგანიზაციის ოფისიდან ამოიღეს.

აღსანიშნავია, რომ მობილურს, რომელიც მის სამუშაო მაგიდაზე იდო, მარკერით მიწერილი ჰქონდა პაროლი, რითაც პოლიციამ გერლიანის ტელეფონის გახსნა შეძლო.

რაც შეეხება წერილს, მოკლე წერილში რამაზ გერლიანი აცხადებს, რომ „ბევრი ითმინა“ და „დაიღალა“. ასევე, მიმართავს შვილებს, რომ უყვარს, ღმერთს კი პატიებას სთხოვს.

შეგახსენებთ, რომ ახლობლების ცნობით, „ეკონომიკური ტრანსფორმაციის ცენტრის“ დირექტორი, ეკონომიკური ექსპერტი რამაზ გერლიანი გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარდა. მათივე ინფორმაციით, გერლიანის ავტომობილი ბოლოს ავჭალის პოლიციის შენობასთან შენიშნეს. როგორც ახლობლები აცხადებენ, რამაზ გერლიანს 2 დღეა ვერ უკავშირდებიან.

რამაზ გერლიანმა გაუჩინარებამდე ფეისბუქ პოსტი გამოაქვეყნა, რომელშიც შსს-ს თანამშრომელ გიორგი გოგნიაშვილს შანტაჟსა და კერძო საკუთრებაში შემოჭრაში ადანაშაულებს.

გერლიანის ცნობით, სამართალდამცველი 14 ნოემბერს საკუთარ ბინაში შეიარაღებული დახვდა და ცრუ მოტივით დაკითხა. მისივე თქმით, აღნიშნულ ფაქტზე პოლიციის სამმართველოს 35 დღის წინ მიმართა, თუმცა პასუხი არ მიუღია.

„ამ ნაგავმა პოლიციელმა ჩემივე ყოფილი ოჯახის წევრის გამოყენებით მოახერხა, ჩემს კერძო საკუთრებაში, ჩემს სამუშაო და ჩემი შვილების სამყოფელ სივრცეში ვირთხასავით შემოღწევა. 14 ნოემბერს შეიარაღებული დამხვდა ჩემს ბინაში თავხედურად და ცრუ მოტივით დაკითხვა მომიწყო, მომაყენა შეურაცხყოფა, განადგურებული ვარ!

როგორც ჩანს, პოლიციის მუნდირის გამოყენებით აგროვებდა პერსონალურ ინფორმაციას როგორც საპოლიციო სისტემით, ასევე სხვადასხვა საშუალებით, ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების შესახებ. სავარაუდოდ, მოქმედებს დავალება/დაკვეთით. საფუძვლიანი ეჭვია, რომ ჩემ მონაცემებს გადასცემდა/ყიდიდა მესამე პირზე (ებზე). არ არის გამორიცხული, რომ ჩემს მიმართ იყენებდა თვალთვალის, მიყურადების და კონტროლის სხვა სისტემებს...

დამარცხება გინდოდათ, მე განადგურებული ვარ.

დისკრედიტაცია გინდოდათ – ფსკერზე ვარ.

ჩემზე ზეგავლენა და მართვა გინდოდათ – ვერ მიიღებთ.

კანონი დუმს. ჩემთვის ყველაფერი სულერთია. ისე ვარ, მინდა მეც დავდუმდე, ოღონდ სამუდამოდ“ – წერს რამაზ გერლიანი.

რამაზ გერლიანის და ამბობს, რომ მისმა ყოფილმა რძალმა პოლიციას ცრუ ჩვენება მისცა და ის საქმესთან დაკავშირებულ პოლიციელს ხელს აფარებს.

– გამოძიებამ დამისვა კითხვები, ოდესმე იყო თუ არა ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტი, თუნდაც ვინმესთან ჰქონდა თუ არა ჩემ ძმას კონფლიქტი, როგორი პიროვნება იყო. ჩემი რძლის პოსტებიც წავიკითხე, მან მისცა ცრუ ჩვენება პოლიციას, პოლიციასთან უარყო, თითქოს ამ პიროვნებას საერთოდ არ იცნობს და ჩემი ძმა ბოდავს. ეს ქალბატონი რაღაცას აფარებს ხელს, რაღაცას კი არა, იმ პიროვნებას კარგად იცნობს, კარგადაა გაცნობიერებული, რას მოქმედებდნენ რამაზ გერლიანის წინააღმდეგ, – ამბობს გერლიანის და, ნანა გერლიანი.

„სააკაშვილის საქმის პროკურორებზე ცილისმწამებლური კამპანია მიმდინარეობს“

საქართველოს გენერალური პროკურატურის განცხადებით, ბოლო პერიოდში გარკვეული მედიასაშუალებების მხრიდან ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილის საქმის პროკურორების მიმართ მიზანმიმართული ცილისმწამებლური კამპანია მიმდინარეობს.

უწყება გავრცელებულ განცხადებაში „ნოდარ მელაძის შაბათის“ ეთერში გასულ სიუჟეტს ეხმაურება და აღნიშნავს, რომ ეს მორიგი დეზინფორმაციაა.

„გვსურს გამოვეხმაუროთ ტელეკომპანია „ტვ პირველის“ ეთერში გასულ მორიგ დეზინფორმაციას, რომელიც საქართველოს პროკურატურის წინააღმდეგ ცილისმწამებლური კამპანიის გაგრძელებას წარმოადგენს.

კერძოდ, გადაცემა „ნოდარ მელაძის შაბათის“ ეთერში გასულ სიუჟეტში მიზანმიმართულად იყო დამახინჯებული ინფორმაცია პროკურორების – გიორგი მუჯირის და ზვიად ფხაკაძის საკუთრებაში თითქოსდა, არსებულ უძრავ ქონებებთან დაკავშირებით.

აღნიშნულ სიუჟეტში ბინის მესაკუთრედ დასახელებული იყო ზვიად ფხაკაძე, რაც მორიგი სიცრუეა და მიზნად ისახავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, რადგან რეალურად ბინის მესაკუთრე ზვიად ფხაკაძის ძმა და მისი ოჯახია.

ასევე, „ტვ პირველის“ სიუჟეტის მიხედვით, თითქოს, პროკურორ გიორგი მუჯირის საკუთრებაშია გუდაურში მშენებარე სასტუმრო კომპლექსი, რაც ასევე არ შეესაბამება სინამდვილეს. რეალურად, რაც საჯაროდ არსებული ინფორმაციითაც დასტურდება, მშენებლობას აწარმოებს ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა, სადაც სხვა წევრებთან ერთად, გიორგი მუჯირის და, ნინო მუჯირი არის ამხანაგობის ერთ-ერთი წევრი. შექმნილ ამხანაგობასთან კი, პროკურორ გიორგი მუჯირს არავითარი შემხებლობა არ გააჩნია.

თვალსაჩინოა, რომ ბოლო პერიოდში გარკვეული მედიასაშუალებების მხრიდან საქართველოს პროკურატურის და კონკრეტულად, ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილის საქმის პროკურორების მიმართ მიზანმიმართული ცილისმწამებლური კამპანია მიმდინარეობს, რაც ცალსახად მიზნად ისახავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და უწყების დისკრედიტაციას.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ კონკრეტული მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული ყალბი ინფორმაცია პროკურატურის თანამშრომლების მიმართ, არის მცდელობა იმისა, რომ საპროკურორო ფუნქციების განხორციელებისას, პროკურორებზე ზემოქმედება მოახდინონ. მათ გასაგონად, ვინც დგას პროკურატურის მიმართ წამოწყებულ ორკესტრირებული პიარკამპანიის უკან, გვინდა ვთქვათ, რომ ვერანაირი ცილისმწამებლური კამპანია ვერ შეაფერხებს პროკურატურის საქმიანობას და მსგავსი თითოეული ყალბი ინფორმაციის გავრცელებას პასუხი გაეცემა“ – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გარდაბანში 27 წლის ფოლადა ზაკეტოვი ჩაცხრილეს

ამ დრომდე კრიტიკულად მძიმეა გარდაბანში დაჭრილი 27 წლის მამაკაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

მამაკაცს ცეცხლი უცნობმა პირმა გამვლელი მანქანიდან გაუხსნა და 20-მდე ტყვია ესროლა.

რეანიმატოლოგ ირმა სულაქველიძის განმარტებით, მდგომარეობა კრიტიკულია და ის რეანიმაციულ განყოფილებაში რჩება.

– პაციენტი 27 წლის, სტაციონარში მოყვანილი იქნა ახლობლების მიერ. აღენიშნებოდა თავის არეში, თხემის მიდამოში დიდი ზომის ჭრილობა.

თავის არეში არის ერთი ჭრილობა მიყენებული, სხეულზე სხვა დაზიანება არ აღენიშნებოდა, კონტაქტური არ იყო.

დაწყებული იყო ანტიშოკური თერაპია, შემდეგ ნეიროქირურგიული ჩარევა მოხდა. მდგომარეობა რჩება მძიმე, კრიტიკული. მკურნალობა უგრძელდება რეანიმაციულ განყოფილებაში, – განმარტა რეანიმატოლოგმა.

რუსთავი-გაჩიანის გზაზე მომხდარი კრიმინალური ფაქტის შესახებ „ტვ პირველმა“ დამატებითი დეტალები გაარკვია. „პირველების“ კორესპონდენტის ცნობით, გარდაბანში ჩაცხრილული პირი 27 წლის ფოლადა ზაკეტოვია.

ახალგაზრდა რუსეთში ცხოვრობდა და ბიზნესსაქმიანობით იყო დაკავებული. ზაკეტოვი სამრეცხაოსა და მანქანების ნაწილების ბიზნესს ფლობს. ოჯახი არ გამორიცხავს, რომ შეკვეთილი მკვლელობის მცდელობაც სწორედ მის საქმიანობას უკავშირდებოდეს.

არსებული ინფორმაციით, ზაკეტოვს აედევნნენ, ცეცხლი კი მაშინ გაუხსნეს, როცა ის მეგობართან სოფელ ტარაკალაში იმყოფებოდა.

– 21 დეკემბერს ჩამოვფრინდი რუსეთიდან, ჩემი ძმაც ასევე რუსეთში ცხოვრობს, იქ აქვს მანქანის ნაწილებისა და ავტოსამრეცხაოების ბიზნესი, აქ პერიოდულად მშობლების სანახავად ჩამოდიოდა. 3 ოქტომბერს ჩამოვიდა. გვგონია, რომ შეკვეთილი მკვლელობაა, რადგან არ ვიცით, ვინ ესროლა, რა იცოდნენ, იმ დროს სად იყო, თუმცა, მოტივი რა იყო, არ ვიცით. სამი დღის წინ ველაპარაკე „ვოთსაპით“, თუმცა არანაირ დაპირისპირებაზე და კონფლიქტზე არ უსაუბრია. სოფელ თარაკალაში მგონი, საკუთარ მეგობართან იყო მისული, – განაცხადა ჩაცხრილული ბიჭის ძმამ.

დამნაშავეებმა მიმალვა შეძლეს.

165.000 ლარის მითვისებისთვის პროკურატურამ ლ.პ. დააკავა

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ევროკავშირის ტერიტორიაზე მოქმედი 17 საწარმოს მიმართ ჩადენილი თაღლითობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა ერთი ფიზიკური და ერთი იურიდიული პირის მიმართ დაიწყო.

როგორც უწყებაში აცხადებენ, გამოძიებით დადგინდა, რომ საქართველოს მოქალაქე ლ.პ.-მ, არარეზიდენტი იურიდიული პირების ფულადი თანხის მოტყუებით დაუფლების მიზნით, მის მიერ წარსულში დაფუძნებულ კომპანიას, 2020 წლის აპრილში შეუცვალა სახელწოდება და დაარეგისტრირა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ოფისის მსგავსი დასახელებით. მათივე ცნობით, ბრალდებული, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებთან ერთად წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად, არარეზიდენტ საწარმოებს, რომლებსაც ინტელექტუალური საკუთრების რეგისტრაციაზე განაცხადი ჰქონდათ შეტანილი ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ოფისში, ელექტრონული ფოსტით მეშვეობით უგზავნიდა ყალბ ინვოისებს და არარსებული მომსახურების ანაზღაურებას მოტყუებით არიცხინებდა მის საკუთრებაში არსებული ქართული კომპანიის საბანკო ანგარიშებზე.

„აღნიშნული ქმედებით, ლ.პ. 2020 წლის 9 ივნისიდან 2020 წლის 22 ივლისის ჩათვლით პერიოდში მოტყუებით დაეუფლა 17 არარეზიდენტი საწარმოს კუთვნილ, ჯამში 47.922 ევროს (165.047.17 ლარი).

შემდგომში, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხის ნაწილი, კანონიერი სახის მიცემის, ლეგალიზაციის მიზნით, ბრალდებულმა დაანაწევრა და ფიქტიური ინვოისების საფუძველზე გადარიცხა ამერიკის შეერთებულ შტატებში, მასთან დაკავშირებული კომპანიის საბანკო ანგარიშზე, რითაც მოახდინა 17.271 აშშ დოლარის (52.708.95 ლარი) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია.

საქართველოს გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა ლ.პ. 2021 წლის 20 დეკემბერს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 194-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

უწყებაში განმარტავენ, რომ ბრალდებულის მიერ დაფუძნებული საწარმოს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დაიწყო, რაც სასჯელის სახედ ლიკვიდაციას ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას და ჯარიმას ითვალისწინებს. საქართველოს გენერალური პროკურატურა აგრძელებს გამოძიებას დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების, ასევე ანალოგიური საქმიანობით დაკავებული სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების გამოვლენისა და მხილების მიზნით

8.465 ლარის ქრთამად აღებისთვის სუსმა კაჭრეთის სერვისცენტრის უფროსი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის სამსახურთან თანამშრომლობით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ქრთამის აღების ფაქტზე შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიის“ კაჭრეთის სერვისცენტრის უფროსი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნულმა პირმა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებისა და ბრძანებით ოფიციალურად განსაზღვრული თანხის კომპანიის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გვერდის ავლით, შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიის“ კუთვნილი ტექნიკით 15 ჰექტარი მიწის ნაკვეთის მოხვნის სანაცვლოდ მოქალაქეს ქრთამის სახით 8.465 ლარი გამოართვა და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა.

გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ ხსენებული ფაქტი არ ატარებდა ერთჯერად ხასიათს და ბრალდებულის მხრიდან სახელმწიფოს კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პირადი მიზნებისთვის გამოყენება სისტემატურად ხორციელდებოდა, რის შედეგადაც ტექნიკა განიცდიდა ცვეთას, კომპანია ვერ იღებდა შესაბამის ანაზღაურებას და ბრალდებული მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლებოდა სახელმწიფოს კუთვნილ დიდი ოდენობით თანხას.

დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი მისამართების ჩხრეკის შედეგად ამოღებულია თანხა 11.500 აშშ დოლარისა და 52.245 ლარის ოდენობით.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

ყალბი ერთლარიანების დამზადების ფაქტზე 1 ადამიანი დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, ყალბი მონეტების დამზადება-გამოყენების გზით, სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, კუსტარულად დაამზადა 563 ცალი 1-ლარიანის ფორმისა და ზომის მონეტა, რომელიც სწრაფი ჩარიცხვის აპარატების გამოყენებით, ჩარიცხა თავისი მეუღლის ანგარიშზე, საიდანაც შემდგომში მოხდა მისი განაღდება.

ბრალდებული დაკავებულ იქნა უშუალოდ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე. პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად ამოღებულია 30 ცალი კუსტარულად დამზადებული მონეტა და აღნიშნული მონეტების დასამზადებლად განკუთვნილი მოწყობილობები“ – ამბობს საგამოძიებო სამსახური.

ამავე წყაროს ცნობით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილით გრძელდება, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით.

ქუთაისთან ავარიაში ბიჭი და გოგონა დაიღუპნენ

წყალწითელაში მერსედესი გადავარდა

გუშინ, 21 დეკემბერს, ქუთაისთან უბედური შემთხვევა მოხდა.

მდინარე წყალწითელასთან, სავარაუდოდ, მაღალი სიჩქარით მოძრავი ავტომანქანა ხიდის მოაჯირს შეეჯახა და წყალში გადავარდა.

მერსედესის მარკის ავტომობილში სულ 5 ადამიანი იმყოფებოდა.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, 2 ადამიანი, ბიჭი და გოგონა, ადგილზე გარდაიცვალა. მანქანაში მსხდომმა დანარჩენმა სამმა პირმა კი მდინარეში გაცურვა მოახერხა. ისინი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ კლინიკაში გადაიყვანა.

ხიდზე დანგრეულია მოაჯირი, ავტომობილი კი ათეულობით მეტრი სიმაღლიდან გადავარდა.

ტრაგედიის ადგილზე მისული იყვნენ დაღუპულთა ოჯახის წევრები და ახლობლები.

მებაჟე ოფიცრებმა „წითელ ხიდზე“ არადეკლარირებული თანხა აღმოაჩინეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, მებაჟე ოფიცრებმა „წითელ ხიდზე“ დიდი ოდენობით არადეკლარირებული თანხა აღმოაჩინეს.

უწყების ცნობით, კანონდამრღვევ მოქალაქეს არადეკლარირებული თანხა ჩამოერთვა.

„საბაჟო გამშვებ პუნქტზე „წითელი ხიდი“ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მხრიდან შემოვიდა სატვირთო ავტომობილი, რომელსაც აზერბაიჯანის მოქალაქე მართავდა. ავტომობილის მფლობელმა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცერთან გასაუბრებისას განაცხადა, რომ დასადეკლარირებელ ნივთებს არ ფლობდა, თუმცა, ეჭვის საფუძველზე, ავტომობილის დეტალური დათვალიერების შედეგად, 21 მილიონ 680 ათასი რუსული რუბლი იქნა აღმოჩენილი. აღნიშნულმა თანხამ ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად 915.633 ლარი შეადგინა.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კანონდამრღვევ მოქალაქეს სანქციის სახით განესაზღვრა არადეკლარირებული თანხის ჩამორთმევა“ – ნათქვამია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

პოროშენკოს წინააღმდეგ სახელმწიფო ღალატის ბრალდებით გამოძიება დაიწყო

უკრაინის ხელისუფლებამ ყოფილი პრეზიდენტის, პეტრო პოროშენკოს წინააღმდეგ სახელმწიფო ღალატის ბრალდებით გამოძიება დაიწყო.

უკრაინის სახელმწიფო საგამოძიებო ბიუროს განცხადებაში ნათქვამია, რომ პოროშენკო ეჭვმიტანილია ტერორისტული ორგანიზაციების „საქმიანობის ხელშეწყობაში“ ადამიანთა ჯგუფთან, მათ შორის რუსეთის რამდენიმე მაღალჩინოსანთან, წინასწარ შეთქმულებაში მონაწილეობის გზით.

„ევროპული სოლიდარობის პარტიაში“ აცხადებენ, რომ ბრალდება შეთხზულია პრეზიდენტის, ვლადიმირ ზელენსკის დავალებით და ის „ფარსად გადაიქცევა, ისე, როგორც ყველა წინა ბრალდება“.

ოფიციალური პირების ცნობით, პოროშენკოს წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები დაკავშირებულია პრორუსი დეპუტატის, ვიქტორ მედვედჩუკის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებთან, რომელიც დაახლოებით ექვსი თვეა შინაპატიმრობაში იმყოფება. ოქტომბერში სამართალდამცავებმა მედვედჩუკი პოროშენკოს ადმინისტრაციის დროს ჩინოვნიკებთან საიდუმლო გარიგებაში დაადანაშაულეს, რაც სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე მაღაროებიდან ქვანახშირის ყიდვას და ამ გზით, სეპარატისტების დაფინანსებას ითვალისწინებდა.

პეტრო პოროშენკო ამ დროისთვის უკრაინაში არ იმყოფება. როგორც პოროშენკოს პარტიაში აცხადებენ, ყოფილმა პრეზიდენტმა ქვეყანა დაგეგმილი ვიზიტის განხორციელების მიზნით დატოვა.

ლატარიის გათამაშების გამარჯვებულმა მეგობრებმა თავი ციხეში ამოყვეს



დიდ ბრიტანეთში ორმა მეგობარმა ლატარიის ბილეთი მოპარული ბანკის ბარათით შეიძინეს და ოთხი მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგეს. მოგების შემდეგ მათ გადაწყვიტეს, კარგად ეზეიმათ და ოთხდღიანი ლხინი გამართეს. თუმცა სამართალდამცავებმა საქმე გახსნეს და მეგობრებმა ციხეში ამოყვეს თავი.

თავიანთი იღბლიანი ბილეთი მათ შეიძინეს ლონდონის მაღაზიაში, სადაც ისინი სამათხოვროდ იყვნენ მისულები. მეგობრები დარწმუნებულები იყვნენ, რომ დიდ ქალაქში მეტი ფულის მიღებას შეძლებდნენ.

გათამაშების შემდეგ ერთ-ერთმა მეგობარმა კომპანიაში დარეკა, რომლისგანაც უნდა მიეღოთ მოგებული პრიზი, მაგრამ როდესაც მას მოსთხოვეს დაესახელებინა თავისი საბანკო რეკვიზიტები ფულის ჩასარიცხად, მან უპასუხა, რომ საბანკო ანგარიში არ გააჩნდა. ამან ოპერატორი ჩაფიქრა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში იბადებოდა კითხვა, როგორ შეიძინა მამაკაცმა ლატარიის ბილეთი.

მეორე დღეს მამაკაცს დაურეკა გამომძიებელმა და გაარკვია, რომ ბარათი მის ყოფილ მეგობარს ეკუთვნოდა, რომელსაც „მისი ვალი ჰქონდა“. ამ ინფორმაციის დადასტურება ვერ მოხერხდა. საბოლოოდ გაირკვა, რომ ბარათი სულ სხვა ადამიანისთვის იყო მოპარული, შედეგად კი მოგებული მეგობრები დააპატიმრეს და ციხეში მოათავსეს.

ერთი წლის ბავშვმა მამა პისტოლეტიდან გასროლით მოკლა

ამერიკის ჯორჯიის შტატში ერთი წლის ბავშვმა სახლში მამის პისტოლეტი იპოვა და მშობელს ესროლა.

უბედური შემთხვევა იმ დროს მოხდა, როდესაც ოჯახის ყველა წევრი სახლში იმყოფებოდა. 25 წლის მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ექიმებმა მისი გარდაცვალება დაადასტურეს.

პოლიციამ მომხდარი უბედურ შემთხვევად გამოაცხადა. ჯერჯერობით უცნობია, წარედგინება თუ არა ვინმეს რაიმე სახის ბრალდება.

გერმანიაში ანტიკოვიდურ აქციაზე 13 პოლიციელს სცემეს

გერმანიის ქალაქ მანჰაიმში კორონავირუსის გამო დაწესებული შეზღუდვების საწინააღმდეგო აქციაზე მომიტინგეებსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა.

დაპირისპირების შედეგად 13 სამართალდამცავი დაშავდა.

დემონსტრაცია ძალადობაში მას შემდეგ გადაიზარდა, რაც პოლიციამ არასანქცირებული აქციის მონაწილეებს დაშლა სთხოვა, ისინი კი მოთხოვნას არ დაემორჩილნენ.

პოლიციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ დაკავებულია 13 ადამიანი.

მანჰაიმის გარდა, კოვიდშეზღუდვები გერმანიის სხვა ქალაქებშიც გააპროტესტეს. მედიის ინფორმაციით, მეკლენბურგ-წინაპომერანიის მხარის 20 ქალაქში, საპროტესტო აქციებზე, საერთო ჯამში, 17.000-ზე მეტი ადამიანი შეიკრიბა.

გერმანიაში პანდემიასთან დაკავშირებით ახალი ზომების მიღება იგეგმება, რაც კერძო შეკრებების 10 ადამიანამდე შეზღუდვას გულისხმობს.

ამის შესახებ ნათქვამია დოკუმენტის პროექტში.

დოკუმენტის თანახმად, შეზღუდვა, რომელიც 28 დეკემბრიდან შედის ძალაში, შეეხება როგორც დახურულ, ასევე ღია სივრცეებს.

ახალი წესი 14 წლამდე ასაკის პირებზე არ იმოქმედებს.

ამასთან, დოკუმენტის თანახმად, რესტორნებში შესვლა კვლავ აკრძალული დარჩება იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ვაქცინაციის ან ვირუსისგან გამოჯანმრთელების დამადასტურებელ დოკუმენტს არ წარადგენენ.

ქალმა რესტორანში შეკვეთილ კერძში მარგალიტები იპოვა



ამერიკელმა ქალბატონმა ზღვის პროდუქტების რესტორანში სადილობის დროს თავის კერძში 12 მარგალიტი იპოვა.

წარმოუდგენლად გაუმართლა ლუიზიანას შტატის ქალაქ ახალი ორლეანის საბავშვო ბაღის აღმზრდელ კილი ჰილს. ქალმა გადაწყვიტა ზღვის პროდუქტების ერთ-ერთ რესტორანში ესადილა და ხამანწკები შეუკვეთა. როდესაც სადილობას შეუდგა, ქალმა იგრძნო, რომ კბილებში რაღაც მაგარი საგანი მოხვდა.

– ხამანწკების ჭამა დავიწყე და რაღაც ვიგრძენი ჯერ კბილებში, შემდეგ ენაზე. ერთი მარგალიტი ნამდვილად გადამეყლაპა, – განაცხადა ქალმა.

იღბლიანი სადილის წყალობით ქალი მთელი 12 მარგალიტის მფლობელი გახდა. რესტორნის თანამშრომელმა ჯორდან გალეტმა განაცხადა, რომ ერთხელ მან ცხრა მარგალიტი აღმოაჩინა ერთ ნიჟარაში, მაგრამ ვინმეს ათზე მეტი ეპოვოს, აქამდე არ სმენია.

მამაკაცის თქმით, მას ყოველდღე ორიათას ხუთასამდე ხამანწკის დამუშავება უწევს, თუმცა, ჩვეულებრივ, კვირაში ერთ ან ორ მარგალიტს თუ პოულობს.

ქალმა კი გადაწყვიტა, რომ სამახსოვროდ ნაპოვნი მარგალიტის თვლებით გაწყობილი ბეჭედი დაამზადებინოს.

ბაიდენის ადმინისტრაცია 500 მილიონ უფასო სწრაფ ტესტს შეიძენს

ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია 500 მილიონი სწრაფი ტესტის შეძენას გეგმავს, რომელთა გამოყენება მოქალაქეებს უფასოდ შეეძლებათ.

აღნიშნული გადაწყვეტილება ბაიდენის ადმინისტრაციამ „ომიკრონ“ შტამის გავრცელების შეჩერების მიზნით მიიღო, რათა მოქალაქეებს ტესტის გაკეთებაზე წვდომა ყოველგვარი ხარჯის გარეშე ჰქონდეთ.

ამასთან, ბაიდენის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, მომდევნო 2 თვის მანძილზე საავადმყოფოებში დამატებით 1.000 სამხედრო ექიმი გადანაწილდება, რათა ინფიცირებულთა ნაკადებთან გამკლავება მოხერხდეს.

უახლოეს მომავალში ჯო ბაიდენი მოსახლეობას საჯაროდ მიმართავს და მოუწოდებს, დღესასწაულების პერიოდში განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინონ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მოუთმენლობამ მამაკაცს სიმდიდრე მოუტანა

ამერიკის მერილენდის შტატის დასახლება სპაროუზ-პოინტის მკვიდრმა საკუთარი მოუთმენლობის წყალობით ჯეკპოტი მოხსნა და გამდიდრდა.

40 წლის მამაკაცი პროდუქტების მაღაზიაში მივიდა და გაახსენდა, რომ ჯიბეში ედო მომგებიანი ლატარიის ბილეთი, რომლის განაღდებაც სურდა.

ამ დროს მეორე პირი ავტომატით ლატარიის ბილეთებს ყიდულობდა. მამაკაცმა გადაწყვიტა მისთვის არ დაეცადა და სხვა მაღაზიაში წავიდა. იქ მან მოგებული თანხა მიიღო და კიდევ ორი მომენტალური ლატარიის ბილეთი შეიძინა. ამერიკელმა ბილეთებზე დამცავი ფენა იქვე, მაღაზიაში გადაფხიკა და ერთ-ერთმა ბილეთმა მას 100 ათასი დოლარის მოგება მოუტანა.

მამაკაცმა ადგილზე გადაამოწმა თავისი მოგება და შემდეგ სახლში გაიქცა მეუღლესთან ერთად წარმატების აღსანიშნავად. ის მოგებული თანხის საკუთარ ანგარიშზე ჩარიცხვას და სამომავლოდ შენახვას აპირებს.

მამაკაცი, რომელიც 13 წელი თავს უსინათლოდ ასაღებდა, დააპატიმრეს

იტალიაში დააპატიმრეს მამაკაცი, რომელიც 13 წელი თავს უსინათლოდ ასაღებდა და ამისთვის სახელმწიფოსგან შემწეობის სახით 192 ათასი დოლარის დახმარება ჰქონდა მიღებული.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მამაკაცის თაღლითობა პოლიციამ გამოავლინა, როდესაც ის ავტომობილის საჭესთან შენიშნეს. 2018 წელს იტალიელმა გადაწყვიტა, თავისი მართვის მოწმობისთვის მოქმედების ვადა გაეგრძელებინა და ამიტომ პოლიციამ მასზე თვალთვალი დააწესა.

იტალიელი 2008 წლიდან იღებდა სახელმწიფო დახმარებას, ვინაიდან ხელისუფლებას წარუდგინა საბუთი, რომ მხედველობა თანდაყოლილი დაავადების შედეგად დაკარგა. ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ მას უკვე ჰქონდა პრობლემები კანონთან: 2008 წელს ყალბი ავტოსაგზაო შემთხვევა მოაწყო დაზღვევის მისაღებად. ამ დროისთვის თაღლითი შინაპატიმრობაში იმყოფება.

მაიმუნებმა სოფელში ძაღლები დახოცეს და ბავშვებზე თავდასხმა დაიწყეს



ინდოეთის ერთ-ერთ სოფელში შურისმაძიებელმა მაიმუნებმა ძაღლებთან ნამდვილი ომი გამართეს, ყველანი დახოცეს და შემდეგ ბავშვებზე თავდასხმებზე გადავიდნენ.

ცხოველებს შორის კონფლიქტი ინდოეთის მახარაშტრას შტატის სოფელ ლანულში წარმოიქმნა. როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები ყვებიან, ომი ძაღლების მიერ პატარა მაიმუნის მოკვლის შემდეგ დაიწყო. მეორე დღეს პრიმატებმა ძაღლებსა და ლეკვებზე თავდასხმა დაიწყეს. მათ იტაცებდნენ, ხეებსა და სახლების სახურავებზე აჰყავდათ და იქიდან აგდებდნენ.

სულ ერთი თვის განმავლობაში მაიმუნებმა 250 შინაური ცხოველი მოკლეს, რის შედეგადაც ლანულში არც ერთი ძაღლი აღარ დარჩა. სოფლის მცხოვრებლებმა სატყეო მეურნეობას მიმართეს მოთხოვნით, დაეჭირათ მკვლელი-მაიმუნები და ვითარებაზე საკუთარი კონტროლი დაეწესებინათ, მაგრამ სოფელში გაგზავნილმა პოლიციელებმა ერთი მაიმუნის დაჭერაც კი ვერ მოახერხეს.

ამის შემდეგ ლანულის მოსახლეობა შეეცადა, საკუთარი ძალებით დაეცვა თავიანთი ძაღლები, მაგრამ მაიმუნებმა ადამიანების შეტევა წარმატებით მოიგერიეს, ხოლო რამდენიმე მამაკაცი, რომლებიც საკუთარი სახლის სახურავზე ავიდნენ იქ აყვანილი ძაღლების გადასარჩენად, ძირს გადმოყარეს.

უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც ძაღლებს ანგარიში გაუსწორეს, მაიმუნები ბავშვებზე გადაერთვნენ. მაგალითად, ერთ შემთხვევაში პრიმატები თავს დაესხნენ რვა წლის სკოლის მოსწავლეს, რომელმაც მათგან თავის დაღწევა მხოლოდ რამდენიმე მოზრდილი მამაკაცის დახმარებით შეძლო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ დროისთვის სოფელ ლანულში მაიმუნების ადამიანებზე თავდასხმა გრძელდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● საახალწლო აქცია – სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

წყალქვეშა აპარატმა გამჭვირვალეთავიანი და მანათობელთვალებიანი თევზი გადაიღო



ამერიკის, კალიფორნიის სანაპიროსთან ფოტოსურათზე იქნა აღბეჭდილი გამჭვირვალეთავიანი თევზი. ეს ბოლო 81 წლის განმავლობაში მხოლოდ მეათედ მოხერხდა. მეცნიერებმა უცნაური თევზის გადაღება დისტანციური მართვის წყალქვეშა აპარატით 650 მეტრის სიღრმეზე მოახერხეს. მიღებულ ფოტოზე თევზის თვალები ღია მწვანედ ანათებს.

ასეთი თევზი პირველად 1939 წელს შენიშნეს, თუმცა მისთვის ფოტოსურათის გადაღება 2004 წლამდე ვერ მოხერხდა. მას შემდეგ მეცნიერებმა მხოლოდ ათამდე ფოტოსურათის მიღება შეძლეს. ბოლოს ფოტოსურათის მისაღებად უპილოტო აპარატი წყლის სიღრმეში 5600-ჯერ ჩაუშვეს.

ამ სახეობის თევზი გვხვდება იაპონიის, კურილის კუნძულების, ბერინგის ზღვის, ასევე ჩრდილოეთ ამერიკის დასავლეთ სანაპიროსთან. ისინი 500-დან 800 მეტრამდე სიღრმეზე ბინადრობენ. ამასთან უფრო დიდ სიღრმეზე უფრო დიდი ზომის თევზები გვხვდებიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მამუკელაშვილი ძირითადში შეიყვანეს, სანაძე მოედანს დაუბრუნდა

ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში კორონავირუსის გამო ბევრი მატჩი გადაიდო. შედეგად, ლიგა იძულებული გახდა და წესები შეიცვალა, რათა თამაშების გადადება აუცილებელი არ გახდეს. ახალი წესები დადებითად იმოქმედებს სანდრო მამუკელაშვილზე.

ძველი წესებით, მამუკელაშვილს, რომელსაც მილუოკი ბაქსთან ორმხრივი კონტრაქტი აკავშირებს, ნბა-ში მხოლოდ 50 მატჩის ჩატარება შეეძლო. ახალი რეგულაციებით ეს ლიმიტი აღარ არსებობს და სანდროს თამაში გაცილებით მეტ მატჩში შეუძლია.

გარდა ამისა, გუნდებს უფლება ექნებათ, თითოეული კოვიდინფიცირებული კალათბურთელის შემცვლელი გაიფორმონ. იმ შემთხვევაში, თუ კორონავირუსის ტესტზე დადებითი პასუხი 2 კალათბურთელს მიუვა, გუნდი ვალდებული იქნება, 1 შემცვლელი გაიფორმოს. თუ 3 კალათბურთელს დაუდასტურდება, მინიმუმ 2 შემცვლელი უნდა მოძებნოს, ხოლო 4-ზე ან უფრო მეტ ინფიცირებულზე გუნდი ვალდებული ხდება მინიმუმ 3 შემცვლელი გაიფორმოს.

ცნობისთვის, სანდროს მიმდინარე სეზონში 17 შეხვედრა აქვს ჩატარებული. იგი პარკეტზე საშუალოდ 11.6 წუთს ატარებს და 3.6 ქულას, 2.3 მოხსნასა და 0.6 პასს აგროვებს.

კიდევ ერთი კარგი ამბავი ის არის, რომ 29 წლის ქართველი კალათბურთელი დუდა სანაძე ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა. საქართველოს ნაკრების მცველმა სექტემბერში კორონავირუსი გადაიტანა და ვინაიდან რეაბილიტაციის პროცესი გაიწელა, თამაში ახლაღა განაახლა.

სანაძის ბორაცი ადრიატიკის ლიგაში უმთავრეს ფავორიტად მიჩნეულ ცრვენა ზვეზდას ესტუმრა და 62:109 განადგურდა. დუდა სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 16 წუთი გაატარა, მან გუნდს 4 ქულა და 3 პასი შესძინა. დუდამ 2-დან 1 ორქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო, 4 სამქულიანი ააცილა.

ბორაცს 4 მოგება და 8 მარცხი მოუგროვდა და სატურნირო ცხრილში მე-11 ადგილზეა, მომდევნო მატჩს კი შინ, ჩერნოგორიის საუკეთესო კლუბ ბუდუჩნოსტთან ჩაატარებს.

ჯაბა კანკავა: „არასდროს მიფიქრია, რომ ეროვნულ გუნდში ამდენ მატჩს ვითამაშებდი“



ჯაბა კანკავა ისტორიაში მეორე ფეხბურთელია, რომელმაც საქართველოს ნაკრების მინიმუმ 100 მატჩი ჩაატარა. საქართველოს ნაკრების კაპიტანს ეროვნულ გუნდში დებიუტი 2004 წელს, თბილისში, ალბანეთთან (2:0) მატჩში ჰქონდა.

პირველი, ვინც 100-მატჩიან ნიშნულს მიაღწია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილია. სწორედ ფედერაციის ვებგვერდზე კანკავასთან ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც 35 წლის ნახევარმცველმა ბევრს საინტერესო თემაზე ისაუბრა.

ჯაბა კანკავა:

– ნამდვილად არასდროს მიფიქრია, რომ ეროვნულ გუნდში ამდენ მატჩს ვითამაშებდი. დაახლოებით, 70-80 თამაში რომ დამიგროვდა, მერე უკვე ვიგრძენი, რომ შეიძლებოდა 100-მდე მიმეღწია. თუმცა, მატჩების რაოდენობის დაგროვება ჩემი მიზანი არასდროს ყოფილა, ეს ბუნებრივად მოხდა. ეს, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა. იმდენად მინდოდა ეროვნულ ნაკრებში თამაში, რომ ამისთვის ყველაფერს ვაკეთებდი. პროფესიულ დონეზე თამაში რაც დავიწყე, დაახლოებით წელიწადნახევარში უკვე ნაკრებში გამოიძახეს და ჩემთვის ეს იყო მოულოდნელობაც, მაგრამ მოტივაციაც და ვცდილობდი, ადგილი შემენარჩუნებინა.

2004 წელს, თბილისის დინამოს საკმაოდ წარმატებული სეზონი ჰქონდა და შინაგანი გრძნობა მქონდა, რომ შეიძლებოდა, ნაკრებშიც გამოვეძახებინე. პირველად თურქეთის ნაკრებთან სტუმრად სათადარიგო სკამზე ვიყავი, რამდენიმე დღის მერე კი, ალბანეთთან შინ ვითამაშეთ და ჩემი დებიუტი მაშინ შედგა. ის მატჩი სავსე სტადიონზე მოვიგეთ და ძალიან ბედნიერი ვიყავი. პირველი ის მახსენდება, ჟირესმა როცა მითხრა მოედანზე უნდა შეხვიდეო, ისეთი დაძაბული ვიყავი და ისე ვნერვიულობდი, რომ დღემდე მახსოვს. შეცვლაზე შევედი და 2 წუთში ყვითელი ბარათი მივიღე და იმის მერე ეს ყვითელი ბარათები დამებედა. ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ გადავლახე. ალბათ, ყველას აქვს ეს გრძნობა, როცა დებიუტანტი ხარ, მაგრამ შემდეგ ეჩვევი.

სათადარიგოთა სკამზე ყოფნის დროს, თითქოს იმუხტები, როცა გუნდს ვერ ეხმარები და შემდეგ მატჩში უკვე ორმაგად უფრო გინდა, რომ ითამაშო და შენს ქვეყანას გამოადგე. ეს შეგრძნება მქონია, როცა ეროვნულ გუნდს ტრავმის ან დისკვალიფიკაციის გამო ვერ ვეხმარებოდი.

ნაკრებში გამოვარჩევ ხორვატიასთან და ბელარუსთან თამაშებს, იმიტომ, რომ ამ 2 მატჩის შემდეგ რეალური შანსი გვქონდა რაღაც შედეგისთვის მიგვეღწია და ვფიქრობ, რომ ეს 2 თამაში ამ კუთხით გამორჩეული იყო.

რა თქმა უნდა, ოჯახი პირველ ადგილზე დგას. მე დედაჩემთან ურთიერთობას გამოვყოფდი, ყველგან მგულშემატკივრობდა და ყოველთვის ჩემ გვერდით იყო.

ერთი მიზანი მქონდა, ბევრი მევარჯიშა და დამემტკიცებინა, რომ ყოველ თამაშზე ძირითადში ყოფნის ღირსი ვიყავი. ამისთვის ბევრი შრომა იყო საჭირო და ამას ვაკეთებდი. დღემდე ასე ვარ.

მინდა, ქართველ გულშემატკივრებს მადლობა გადავუხადო წლების განმავლობაში გვერდში დგომისთვის. ყოველთვის ვგრძნობდი ამას ქომაგებისგან, იყვნენ კრიტიკულად განწყობილებიც, მაგრამ უმეტესობა მხარს მიჭერდა და ვეცდები, რომ სადამდეც ვითამაშებ, ჩემი მაქსიმუმი გავაკეთო.

ცვლილებები თბილისის დინამოში

საქართველოს ყველაზე ტიტოლოვანი გუნდი თბილისის დინამო, რომელმაც ახლახან დასრულებულ ეროვნულ ლიგაში მე-2 ადგილი დაიკავა, რადიკალურ ცვლილებებს გეგმავს.

ამ დროისთვის ცნობილია, რომ დინამო დატოვეს ომარ მიგინეიშვილმა, ნოდარ იაშვილმა, გიორგი ქიმაძემ, ფაბიან სპორსკლედემ, დავით კობოურმა, მილან რადინმა, ჯანო ანანიძემ, ბაქარ ქარდავამ, ნოდარ ქავთარაძემ, გიორგი კუციამ და გიორგი გაბედავამ.

დინამო მარტო გაშვებული ფეხბურთელებით არ დაკმაყოფილებულა და შევსებაც დაიწყო. დედაქალაქურმა გუნდმა უკვე გააფორმა ხელშეკრულება 2 ლეგიონერთან.

ერთ-ერთი მათგანია პოლონური იაგელონიას ნიგერიელი მარცხენა მცველი გოდფრი სტეფენ ბიტოკი. 21 წლის მცველი თბილისურ კლუბში ერთი წლის განმავლობაში იჯარის წესით იასპარეზებს, შემდეგ კი, დინამოს მისი გამოსყიდვის უფლება ექნება. იაგელონიამდე ბიტოკი ბელარუსული ისლოჩის და ნიგერიული ჯი-ლექ აკადემის ღირსებას იცავდა.

საკლუბო კარიერის პარალელურად, ბიტოკი 2019 წელს ნიგერიის 23-წლამდე ნაკრებში მიიწვიეს. 2019 წელს მან ნიგერიელთა შემადგენლობაში ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირზე 3 მატჩში ითამაშა.

დინამოში ჩაირიცხა უკრაინელი ფორვარდი სტანისლავ ბილენკიც, რომელმაც თბილისურ კლუბთან კონტრაქტი 2+1 სისტემით გააფორმა.

ბილენკი სლოვაკური დუნაისკა სტრედას საკუთრება იყო და 2021 წლის სეზონში იჯარის წესით ბრესტის დინამოში თამაშობდა. უკრაინელი ფორვარდის ანგარიშზე 31 მატჩში, 14 გოლი და 4 საგოლე პასია. ბილენკი ბელარუსის ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში მე-3 ადგილზე გავიდა.

უკრაინელი ფორვარდი დონეცკის შახტარისა და ოლიმპიკის აღზრდილია. სხვადასხვა დროს იგი როგორც ოლიმპიკის ძირითად გუნდში, ასევე სლოვაკურ დუნაისკა სტრედაში, პოლონურ ზაგლებიეში და უკრაინულ რუხში ასპარეზობდა. რაც შეეხება ბილენკის სანაკრებო კარიერას, თავდამსხმელი უკრაინის 19-წლამდე და 21-წლამდე ნაკრებების წევრი იყო. 21-წლამდე ნაკრების შემადგენლობაში მან 7 შეხვედრა გამართა და 2 გოლის გატანა მოახერხა, 19-წლამდელთა რიგებში კი, 1 მატჩი ითამაშა.

შედეგები

20 დეკემბერი
ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიგა

ფულემი-შეფილდი 0:1

ესპანეთი.

პრიმერა დივიზიონი

ლევანტე-ვალენსია 3:4

სატუნირო ცხრილი:

1.რეალი	18	13	4	1	39-15	43
2.სევილია	17	11	4	2	28-12	37
3.ბეტისი	18	10	3	5	32-21	33
4.რაიო	18	9	3	6	26-18	30
5.ატლეტიკო	17	8	5	4	28-20	29
6.სოსიედადი	18	8	5	5	20-20	29
7.ვალენსია	18	7	7	4	30-27	28
8.ბარსელონა	17	7	6	4	28-21	27
9.ბილბაო	18	5	9	4	16-14	24
10.ესპანიოლი	18	6	5	7	20-21	23
11.ვილიარეალი	17	5	7	5	21-18	22
12.ოსასუნა	18	5	7	6	17-22	22
13.სელტა	18	5	5	8	20-22	20
14.მალიორკა	18	4	8	6	17-27	20
15.გრანადა	17	4	7	6	21-25	19
16.ხეტაფე	18	3	6	9	12-20	15
17.ელჩე	18	3	6	9	18-27	15
18.ალავესი	17	4	3	10	13-24	15
19.კადისი	18	2	8	8	15-31	14
20.ლევანტე	18	0	8	10	19-36	8

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ბრაგა-ბელენენსეში 1:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

აეკი-ოფი 1:2
არისი-იონიკოსი 1:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

გურამ კვიკვინია, მერაბ სალაყაია, ანზორ შამუგია, საშა არჩაია, ერეკლე ლატარია, დინარა საბეკია, კლავდია ხარებავა, ზაირა ჯღანჯღავა, გული ზაქარაია, ნუნუ ბერაია, ლია ბახია, ინეზა წურწუმია თანაუგრძნობენ თანაკლასელსა და ახლობელს, გოდერძი ჭანტურიას შვილის

ირმა ჭანტურია-გაჩეჩილაძის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სანადირო თოფების წარმოების ცენტრი გერმანიაში; 2. მდინარის ჩამონატანი სილა, თიხა, ღორღი; 3. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 5. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 6. იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი; 9. მზის გადასაღები ფოტოაპარატიანი ტელესკოპი; 10. უბანი ქუთაისში; 11. ესპანური ჩქარტემპიანი ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით; 14. რაიმე ჩამონათვალი; 16. მთიბავთა სიმღერა ფშავ-ხევსურეთში; 18. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში.

თარაზულად: 1. მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი ხორვატიაში; 4. წყნარი ოკეანისპირა პოპულარული კურორტი მექსიკაში; 7. იაპონური ციფრულ-ლოგიკური თავსატეხი; 8. იახტის სამართავი საჭე; 12. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში; 13. სახელმწიფო აფრიკის სამხრეთში; 15. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 17. კედელზე საკიდი ელექტრონათურა; 19. ნიადაგის გამაფხვიერებელი აგრეგატი; 20. ვაშლის ღვინო; 21. ტკბილი, დესერტი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მაყრიონი; 2. ყიფიანი; 3. სმოგი; 4. ქუვეითი; 5. რემისია; 10. დინასტია; 11. მუჯურეთული; 12. აზბესტი; 15. ბობოყვათი; 16. ხვიფლი; 17. როკფორი; 20. კუსტო.

თარაზულად: 6. კარდიოგრამა; 7. გურიელი; 8. შპიგელი; 9. ლორენი; 13. ვანი; 14. გუბაზი; 18. ლელობურთი; 19. რომბი; 21. იუნგა; 22. ფიკუსი; 23. აინშტაინი; 24. ერისიონი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ყუმი; 2. აპაჩი; 3. შტრატი; 5. ნადული; 6. კემპინგი; 9. ესკადრილია; 10. ვანდალები; 11. ჯვრისწერა; 14. მეი; 16. ბატიკა; 18. რიგა.

თარაზულად: 1. ყავარი; 4. დინამიკა; 7. საბენა; 8. ტარხუნა; 12. აკაბა; 13. ამპერი; 15. ედიქტი; 17. ნიუ; 19. აზერბაიჯანი; 20. ყანწი; 21. სამაია.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

22 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — **3.0958**

ევრო — **3.4964**

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — **4.1038**

100 რუსული რუბლი — **4.1862**

ამინდის პროგნოზი 22 დეკემბრისათვის

ედისონ კავანი ბარსელონაში გადასვლასთან ახლოს არის

მანჩესტერ იუნაიტედის ურუგვაელი ფორვარდი ედისონ კავანი დიდი ალბათობით კარიერას ბარსელონაში გააგრძელებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კავანიმ უკვე შეათანხმა პირადი კონტრაქტის დეტალები ბარსელონასთან და ახლა ჯერი გუნდებზეა. თუ მათ მოახერხეს შეთანხმების მიღწევა, მაშინ კავანი იანვარში უკვე ბარსელონას ფეხბურთელი იქნება.

აღსანიშნავია, რომ კავანი ბოლო პერიოდში საკმაოდ იშვიათად გამოდის მოედანზე.

კოუტინიო შესაძლოა ლივერპულში დაბრუნდეს

ბარსელონას ბრაზილიელი ნახევარმცველი ფილიპე კოუტინიო შესაძლოა თავის ყოფილ გუნდში ლივერპულში დაბრუნდეს. ასეთი ინფორმაცია ვრცელდება ესპანურ პრესაში. კოუტინიოს თამაშით ბარსელონაში ძალიან უკმაყოფილოები არიან და ცდილობენ მის გაყიდვას, თუმცა ბრაზილიელს ბევრი მსურველი არ ჰყავს.

ლივერპულში კოუტინიოს კარიერის საუკეთესო პერიოდი ჰქონდა.

კვარაცხელიას შეძენა ვესტ ჰემს სურს

ხვიჩა კვარაცხელიას ახალი მსურველი გამოუჩნდა და ეს გუნდი ინგლისური ვესტ ჰემია, რომელიც ხვიჩას ყიდვით სერიოზულად არის დაინტერესებული. რუბინმა ფასი დააკლო და ყაზანელები მხოლოდ 13 მილიონს ითხოვენ, თუმცა, შესაძლოა, ვესტ ჰემისთვის ეს თანხაც საკმაოდ ბევრი იყოს.

კვარაცხელიამ წლევანდელ სეზონში თამაშის ხარისხს საგრძნობლად მოუკლო და ის არ მაღავს, რომ რუბინიდან წასვლა სურს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ანეკდოტი

პაციენტი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, თავს ისე უხერხულად ვგრძნობ, ასეთ ცუდ ამინდში რომ გამოგიძახეთ.

– არა უშავს, აქვე მეზობელ სახლში კიდევ ერთი ავადმყოფი მყავს და ერთბაშად ორ კურდღელს მოვკლავ.

•••

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– ამ ღამით მე და შენ იმას გავაკეთებთ, რისი გაკეთებაც არ შეიძლება!

– ნულზე გაყოფას?

•••

დილით ბავშვი ტიტლიკანა დააბიჯებს წინ და უკან და დუდღუნებს:

– არ მინდა საბავშვო ბაღში! არ წავალ საბავშვო ბაღში! არ მინდა!

დედამ უსმინა, უსმინა და მკაცრად ეუბნება:

– წახვალ და მორჩა!

მცირე პაუზის შემდეგ ბავშვი ეუბნება:

– წერო გამოიძახე, უკან ვბრუნდები!

•••

ერთი სტუდენტი მეორეს ეუბნება:

– ფილოსოფიის ლექტორმა გვითხრა, რომ სამზარეულოში ნამთვრალევი საუბრები ფილოსოფიური არ არის.

– და საერთოდ როგორ აიღო დიპლომი?

•••

კარზე კაკუნი ისმის. მამაკაცი კითხულობს:

– ვინ არის?

– გააღეთ, პოლიციაა!

– მერე რატომ, ჩაიკეტეთ, რო?

რეზო ინანიშვილი 95 წლის გახდებოდა

მწერალი რეზო ინანიშვილი 95 წლის გახდებოდა. მისმა საიუბილეო თარიღმა ერთგული მკითხველების გახსენებით ჩაიარა.

პოეტი თემო ჭახნაკია კიდევ ერთხელ დაინტერესდა კახეთში, სოფელ ხაშმში მდებარე მწერლის სახლ-მუზეუმის აღდგენის საკითხით, რომელიც ჯერ კიდევ 5 წლის წინ უნდა დაწყებულიყო.

– რეზო ინანიშვილი – 95 არ ვთქვა?

პირველად გურამ ოდიშარიას ინიციატივით დაიძრა ეს თემა, მაშინ კულტურის მინისტრი გახლდათ და 2014 წელს ჩასული იყო სოფელ ხაშმში, მოინახულა რეზო ინანიშვილის 1995 წლიდან მიტოვებული და გაპარტახებული ეზო-კარმიდამო და სახლი, სადაც ჩვენი მწერალი გაიზარდა და 8 წლის მანძილზე ცხოვრობდა ცოლთან ერთად, შემდეგ მწერალთა კავშირმა ერთოთახიანი ბინა აჩუქა თბილისში, ცხოვრობდა ძალიან ხელმოკლედ.

სამწუხაროდ, ბატონ გურამს არ დასცალდა ამ საქმის ბოლომდე მიყვანა, საყდრისის ოქროს უძველეს მაღაროსთან დაკავშირებული ამბების გამო, გურამ ოდიშარიამ პოსტი დატოვა. იმავე წელს კიტოვანის სიძე, გიორგაძე დაინიშნა მის პოსტზე, რომლის ხელმოწერის შემდეგ აფეთქეს საქართველოს ისტორია.

საგარეჯოს კულტურული ობიექტების გაერთიანების დირექტორი, ვინმე ბესო ღვინაშვილი 2014 წელს ამბობდა: რევაზ ინანიშვილის სახლს მალე სახლ-მუზეუმის სტატუსი მიენიჭება, რის შემდეგაც სახლ-მუზეუმზე კულტურის სამინისტრო იზრუნებსო.

5 წელი მიაჩუმათეს ეს თემა.

2019 წელს ახალი განცხადება გავრცელდა, სადაც ამბობდნენ, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, საგარეჯოს 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია რევაზ ინანიშვილის სახლ-მუზეუმის პროექტირების თანხები და 2019-2020 წლებში რევაზ ინანიშვილის მემორიალური, სამუზეუმო სივრცის მოწყობა სოფელ ხაშმშიო.

სადაცაა 2022 წელი შემოაბიჯებს, სად წავიდა გამოყოფილი თანხა, დაწყებულია სახლ-მუზეუმის მოწყობა?

გამიხარდება თუ ოდესმე ვიხილავთ ამ მუზეუმს, ისე გამიხარდება, როგორც ჩოხელის შესანიშნავი სახლ-მუზეუმის აშენებამ გამახარა 2019 წელს (397 ათასი), ზურაბ გორგილაძის სახლ-მუზეუმის აშენებამ 2020 წელს (300 ათასი).

უნდა დავაფასოთ ჩვენი დიდი მწერლები, ყველას სახლ-მუზეუმი უნდა მოეწყოს!

ცხონებულ ალექსანდრე ელერდაშვილს, რომელიც იკვლევდა რეზო ინანიშვილის შემოქმედებას, თავმოყრილი აქვს ჩვენი სასიქადულო ნოველისტის ყველა მხატვრულ-პროზაული 778 ტექსტი, რომელიც 8 ტომში გაანაწილა, დააკბადონა, დიდი შრომა ჩადო.

არ უნდა გამოიცეს? არ უნდა დავაფასოთ სათანადოდ გამორჩეული ნოველისტი? მილიონები იხარჯება მავნე რაღაცებში. არ უნდა ჩაერთოს ამ საქმეში კულტურის სამინისტრო?!

„ცეკვავენ ვარსკვლავები“ ანა ამილახვარმა და ირაკლი ძაძამიამ დატოვეს

„ცეკვავე ვარსკვლავების“ მეცხრე საკონკურსო ტური წარუმატებელი აღმოჩნდა მსახიობ ანა ამილახვარისა და მისი მეწყვილის ირაკლი ძაძამიასთვის. ჟიურის და მაყურებლის ერთობლივი გადაწყვეტილებით, შოუ ანასა და ირაკლის გარეშე გაგრძელდება.

კონკურსანტებმა ორ-ორი ცეკვა წარმოადგინეს, ერთ-ერთი მათგანი მსოფლიო ხალხთა ცეკვები იყო.

შოუს დასასრულს, წამყვანებმა გავარდნის კანდიდატი ორი წყვილი დაასახელეს – ანა ამილახვარი და ირაკლი ძაძამია და თათია თექთურმანიძე და ოთო ფოლადაშვილი. ბოლო ერთწუთიანი ხმის მიცემის დასრულების შემდეგ, „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ანა ამილახვარმა დატოვა.

უზარმაზარმა ნიანგმა ზვიგენი მეთევზის თვალწინ გადაყლაპა



ავსტრალიის კვინსლენდის შტატში მდინარე პროზერპინში უზარმაზარი ნიანგი მიცურდა მეთევზის მიერ დაჭერილ ზვიგენთან და ის მის თვალწინ მთლიანად გადაყლაპა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტელეარხმა გამოაქვეყნა.

დენ ჯონსონი მდინარეზე სათევზაოდ დასვენების დღეებში გაემგზავრა. მან წყალში ანკესი ნაპირიდან გადააგდო და მცირე ზომის ზვიგენი დაიჭირა. როდესაც მეთევზემ ნადავლის ნაპირზე ამოყვანა დაიწყო, ზვიგენი წყალში ჩარჩენილ ძველ სათევზაო ძუაში გაიხლართა.

– ზვიგენი დავიჭირე და მის წყლიდან ამოყვანას შევუდექი. მოულოდნელად, მოშორებით ნაპირზე გამოცოცხლება შევნიშნე. ხალხი მეძახდა: „ფრთხილად იყავი, ის გიახლოვდება!“ – განაცხადა მეთევზემ. რამდენიმე წამში ნაპირთან ოთხმეტრიანი ნიანგი მიცურდა და ზვიგენი მთლიანად გადაყლაპა.

ჯონსონის თქმით, უამრავი ნიანგი ჰყავდა ნანახი, თუმცა მათ ის ჩვეულებრივ შორიდან უყურებდა. ახლა კი პირველად მოხდა, რომ უზარმაზარი ნიანგი ასე ახლოს ნახა და ასევე ნახა, თუ როგორ ჭამდა ის ნადავლს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თათია კობალაძე ყაზახეთში მაყურებლის რჩეული გახდა

მომღერალი თათია კობალაძე ყაზახურ „ვოისს“ გამოეთიშა, თუმცა ორი უმნიშვნელოვანესი ჯილდო მიიღო – ყაზახური „ვოისის“ მაყურებლის რჩეული და პროექტის ყველაზე გამორჩეული ხმის ტიტულის მფლობელი.

თათია კობალაძე:

– მთავარი გამარჯვება – ვოისის ისტორიაში პირველად მაყურებლის რჩეული და ვოისის ყველაზე გამორჩეული ხმის ტიტული!

ზურა ბაკურაძის დაბადების დღეს „ქართული ხმები“ კონცერტით აღნიშნავს

ანსამბლ „ქართული ხმების“ ერთ-ერთი გამორჩეული მომღერლის, ტრაგიკულად გარდაცვლილი ზურა ბაკურაძის 43-ე დაბადების დღე კონცერტით აღინიშნება.

მომღერლის დაბადების დღეს, საღამოს 8 საათზე, „ქართული ხმების“ ფეისბუქ გვერდზე კონცერტი პირდაპირ ეთერში გაიმართება და მასში მონაწილეობას ზურა ბაკურაძის მეგობრები და კოლეგები მიიღებენ.

– 23 დეკემბერს ზურა ბაკურაძე 43 წლის გახდებოდა. ამ საღამოს, მეგობრები და კოლეგები ერთად გავიხსენებთ ყველასათვის ძვირფასს ადამიანს, – ნათქვამია „ქართული ხმების“ მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

22 დეკემბრისათვის

ვერძი – იმპულსურობა საქმეს გააფუჭებს. დღეს საოჯახო და პირადი პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. **კურო** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. დიდი ყურადღებით მოეკიდეთ ფინანსებს. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისათვის, ასევე სამოგზაუროდ ან მივლინებაში წასასვლელად. **კირჩხიბი** – საკუთარი ძალებისადმი იმედგაცრუებაა მოსალოდნელი. ნუ დაივიწყებთ პარტნიორებს, რომლებიც ერთ დროს წარმატების მიღწევაში დაგეხმარნენ. **ლომი** – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ. საკუთარი ადგილი იცოდეთ. **ქალწული** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. იაქტიურეთ. საქმიანი მოლაპარაკებებისათვის შეუფერებელი დროა. **სასწორი** – სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობა წარმატებული იქნება. დაუფიქრებელ, სპონტანურ გადაწყვეტილებებს არასასურველი შედეგი მოჰყვება. **ღრიანკალი** – ფინანსებს გაუფრთხილდით. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. საკუთარი შესაძლებლობები კარგად გათვალეთ. **მშვილდოსანი** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ, რაც, შესაძლოა, მოულოდნელმა მივლინებამ განაპირობოს. **თხის რქა** – სერიოზული საქმიანი მოლაპარაკებები არ წამოიწყოთ. უმჯობესია, თუ დღეს ყოფითი პრობლემების მოგვარებაზე იზრუნებთ. **მერწყული** – დიდი ყურადღებით მოეკიდეთ ფინანსებს. ნებისმიერი გაუთვალისწინებელი ხარჯი სახიფათოა. **თევზები** – დიდი დატვირთვა გელით როგორც ფიზიკურად, ისე – ემოციურად. საქმიან ქაღალდებს ხელს ნუ მოაწერთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. მრავალადგილიანი სამგზავრო ავტომობილი; 2. ქუჩის სახელწოდება ძველად საქართველოში; 3. ძმები ჯაჭვლიანების მხატვრული ფილმი; 4. ქალაქ ბარსელონას ძველი სახელწოდება; 5. ქიმიური ინდიკატორი; 10. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 11. მეცნიერება საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონების შესახებ; 12. ქართველი შტანგისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 15. ტვირთის დროებითი საცავი საბაჟოზე, ნავსადგურში; 16. რუმინელი კომპოზიტორი, პიანისტი, მევიოლინე, დირიჟორი; 17. პირველი ამერიკელი ასტრონავტი; 20. ამბის მომტანი, შიკრიკი.

თარაზულად: 6. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 7. ღამის პეპელა; 8. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 9. ტერიტორიული ერთეული რუმინეთში; 13. ოპერა „კარმენის“ კომპოზიტორი; 14. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 18. საერთაშორისო, კომპიუტერული, საინფორმაციო ქსელი; 19. უხეში, გაუზრდელი, ბრიყვი ადამიანი; 21. შვედური მსუბუქი ავტომობილი; 22. ხშირი, გაუვალი ტროპიკული ტყე; 23. რამდენიმე ბანკის, კომპანიის გაერთიანება; 24. ფილატელისტის ალბომი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა